კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამოცემის 42-ე წელი | № 88 (12296) | შაბათი, 14 აპრილი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდეთ სამუშაოდ უშუალოდ წარმოებაში!

გ. დევდარიანისა და გ. დუჩიძის მისაბაძი მაგალითი

პატრიოტული ინიციატივა

გაზაფხულის ამ შესანიშნავ დღეებში, ახლა, როცა ჩვენს დიად სამშობლოში გაჩაღებულია გიგანტური ლაშქრობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მამაცი საბჭოთა აღმიანები შემოქმედებითი შრომით უპასუხებენ პარტიის საბრძოლო მოწოდებას—გაბედულად ავიღოთ ახალი ზღუდეები მოსავლიანობის ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების დიდ გზაზე, გამოვიჩინოთ მოვალეობის მაღალი გრძნობა, წავიდეთ უშუალოდ წარმოებაში, მოვახმაროთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

ეს აზრი ამოძრავებდა სწორედ სამგორისა და საბარეჯოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს გ. დევდარიანსა და გ. დუჩიძეს, როცა მათ თხოვნით მიმართეს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებს გაეგზავნათ ისინი საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, იქ, სადაც დულს ცხოვრება. სადაც უშუალოდ წყდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზა.

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ წერილებს გ. დევდარიანისა და გ. დუჩიძის პატრიოტულ ინიციატივაზე, საბჭოთა აღმიანისათვის, კომუნისტისათვის დამახასიათებელ მოქმედებასა და ხასიათზე. ეს მაგალითები ამავე დროს მოგვითხრობენ ახალ, თავისებურ, ბედნიერ აღამიანებზე, მათ სულიერ სილამაზეზე, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებაზე — ყველა იმ ძვირფას თვისებებზე, რითაც ესოდენ მდიდარი არიან კომუნისტური პარტიის დიად იდეებზე აღზრდილი ჩვენი აღამიანები, პირველ რიგში ჩვენი კადრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის საბრძოლო გადაწყვეტილებები შთაგვაგონებს გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მიმდინარე წლიდანვე თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უთუოდ გაანადღოს ის საწარმოო დავალებები, ის გეგმები, რომელთა განხორციელების შედეგადაც უნდა შეეიმჭიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

ეპოქა გარეშეა, გ. დევდარიანისა და გ. დუჩიძის ეს პატრიოტული ინიციატივა ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენს პარტიულ და საბჭოთა კადრებს შორის, სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტთა შორის და ისინი წავლენ სამუშაოდ უშუალოდ წარმოებაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ეს იმის საუკეთესო მაგალითია, რომ ჩვენს აღამიანებს უნარი შესწევთ ხორცი შეასხან პარტიის ყოველ მოწოდებას.

წარმატება ვუსურვოთ ამხანაგებს შრომის ამ გაღამწყვეტ უბანზე.

გულის კარნახით

კაცს, რომელზეც გვინდა მოგითხროთ, შესანიშნავი ბიოგრაფია აქვს. სპეციალობით აგრონომი, 13 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა გარდაბნის ერთ-ერთ მოწინავე მტს-ს. აქ რომ თავი გამოიჩინა, დიდი ნდობა აღმოუჩინეს და პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე ექვს წელიწადს იმუშავა. შემდეგ მოხდა არსებითი ხასიათის ცვლილება. გარდაბნისა და გარეუბნის რაიონები გაერთიანდნენ და მათ ბაზაზე შექმნილ სამგორის რაიონში იგი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

... ყოველი დღე ჩვენს ცხოვრებაში ახალი, საინტერესო მოვლენებით ხასიათდება. პარტიის XXII ყრილობამ დაამტკიცა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამა. კომუნიზმი კი წარმოუდგენელია ისე, თუ პროდუქტების სიუხვე არ იქნა, და აი პარტიამ მიიღო კიდევ ერთი, ახალი, ბრძოლი ღონისძიება სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ახლადშექმნილ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებში სამუშაოდ გაიგზავნენ მოწინავე ადამიანები, ენერგიული და ნიჭიერი მუშაკები.

გიორგი მიხეილის-ძე დევდარიანს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულ ადამიანს, თავისი აზრი აქვს პარტიის მიერ აღებულ კურსზე.

— დიახ, სწორედ ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში კეთდება საშვილიშვილო საქმე, შენდება კომუნიზმი, შეგნებული ადამიანები სამუშაოდ იქ უნდა მიდიოდნენ, სადაც წყდება პროდუქტების სიუხვის ბედი. ჩემი ადგილიც იქ არის. და იგი სამუშაოდ წავიდა სამგორის რაიონის რუსბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

გ. დევდარიანმა კარგად იცის რუსბოლოს საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობა. მაგრამ ეს ახლა საკმარისი როდია. საჭიროა საქმეში უფრო ღრმად ჩახედვა, ყოველი წვრილმანის გაგება, გათვალისწინება... და ახალი დირექტორის ჯიბეში აღმოჩნდა არცთუ დიდი ზომის წიგნაკი. მას მეორეწაირად შეიძლება ეწოდოს ხელმძღვანელის ცნობარი. უკვე მეოცე პირველი ფურცლები. შეიცავ იგი ციფრებით, წინადადებებით, რომლებიც შეეხება მეურნეობის ახალ ამოცანებს, გეგმებს, პერსპექტივებს.

8.848 ჰექტარი ფართობი უჭირავს რუსბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობას. აქედან ნახევარზე მეტი მარცვლეული კულტურებს, ბოსტნეულს, ბაღებსა და ვენახებს უჭირავს. წელს აქ პირველად დათესეს შესანიშნავი საკვები კულტურა — ბარდა.

... ფართო, ნათელ ოთახში თავი მოუყრიათ აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მეურნეობის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს. საწარმოო თათბირია.

— მეურნეობის ეკონომიკის გაძლიერება, ზარალის დაფარვა — აი მთავარი საკითხები, რომლებზეც აქ მსჯელობაა გაჩაღებული. 179.000 მანეთი ზარალი, რაც მეურნეობას შარშან ჰქონდა, მეტად არასასიამოვნო ფაქტია. მომავალში ასეთი რამ არ უნდა გამეორდეს. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველა დარგი რენტაბელური იყოს. მეურნეობის დირექტორმა პრინციპულად მოითხოვა აღდგენილ იქნას აქ მეღორეობა და მეფრინველეობა, რომლებიც, თითქოს დანშნულებას ვერ ამართლებსო, ლიკვიდირებულ იქნა.

— რა ღონისძიებებით აპირებთ ეკონომიკის გაძლიერებას, მეურნეობის მომგებიანად გადაქცევას?

ამ კითხვაზე მეურნეობის დირექტორმა გ. დევდარიანმა გვიპასუხა:

— უნდა დავნერგოთ მექანიზაცია ყველა დარგში, განსაკუთრებით მებოსტნეობაში. ეს საშუალებას მოგვცემს გავაიაფოთ პროდუქტები. მექანიზაციის უკეთ დანერგვის მიზნით ჭელს მეურნეობა დამატებით შეიძენს 90.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ყურადღება გამახვილებულ იქნება მოსავლიანობის გიგმების შესრულებაზე. ჩვენს პირობებში არსებობს შესაძლებლობა ჰექტარზე მოვიყვანოთ 120 ცენტნერი ბოსტნეული, 150 ცენტნერი ბაღჩეული და 80 ცენტნერი კარტოფილი, მაშინ როცა შარშან მიღებულ იქნა 3-4-ჯერ ნაკლები.

მეურნეობის ახალ დირექტორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს ის საკითხი, რომ უზრუნველყონ მეცხოველეობა საკუთარი მტკიცე საკვები ბაზით.

... გაზაფხულის წყნარი და მზიანი დღეა. სომინდის სათეს ფართობში ვართ. ყურადღებას იპყრობს ტრაქტორისტი ბ. ქაზუმოვი. მის შესახებ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ვ. ალიევი ამბობს, კარგი მექანიზატორია, კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ბრწყინვალე ოსტატიაო.

— სწორია, — უმატებს იქვე გ. დევდარიანი, — გუშინ ნორმანახევარს გადაჭარბა.

— რამდენი ჰექტარი უნდა დათესოთ ყოველდღიურად?

— 8 ჰექტარი!

— რამდენს თესავთ?

— 12-14 ჰექტარს, — გვეუბნება მექანიზატორი.

... სამუშაო დღე დამთავრდა. მინდვრებიდან დაბრუნდნენ მექანიზატორები, სპეციალისტები, ხელმძღვანელი ამხანაგები. ფართო და ნათელ ოთახში კვლავ გაიმართა საწარმოო თათბირი.

და ამ დღის მუშაობას ანალიზი რომ გაუკეთა, მეურნეობის დირექტორმა გ. დევდარიანმა თქვა:

— ხვალ უფრო დიდი საქმეები გველის.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გ. დევდარიანი,
სამგორის რაიონის რუსბოლოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

გ. დუჩიძე,
საგარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

კვლავ წინა ხაზზე

საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გივი დუჩიძეს დილიდანვე ერთი აზრი მოსვენებას არ აძლევდა.

იმ დღესაც ჩვეულებრივად მრავალი კაცი თუ ქალი მოვიდა აღმასკომში. გივი იჯდა სამუშაო ოთახში და უსმენდა მთხოვნელებს. დროდადრო ტელეფონი რეკავდა, ისმოდა ხანეული მანქანის კაკუნი, ისეთივე დღე იყო, როგორც გუშინ, და გივიც გარეგნულად მშვიდი ჩანდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

იმ საღამოს რატომღაც ადრე დაწვა გივი, მაგრამ გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს. მის ასაკში უძილობა იშვიათია. მიუხედავად ამისა, სრულიადაც არ გრძნობდა. დაღლილი რომ იყო და მოსვენება ჭირდებოდა.

იქნებ სინდისი აწუხებდა? არა. ვინც მას იცნობს, ყველამ იცის, რომ მისი სინდისი სუფთაა პარტიისა და ხალხის წინაშე, რომლებმაც გამოწარდეს და კაცად აქციეს. ოთახში ბნელოდა, მაგრამ გივი ნათლად ხედავდა თავის ორეულს, რომელიც მეგობრულად ესაუბრებოდა:

ოთხი წლის წინათ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველო“ რომ გამსხვილდა, ამ უზარმაზარი მეურნეობის ხელმძღვანელობა შენ ჩაგაბარეს. არც აქ შეგირცხვენია თავი. მიდიოდი სწორი გზით და ხალხიც მიგყვებოდა. მერე კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა. ახლა მას საგარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ჰქვია. ამ მეურნეობის დირექტორიც იყავი. შემდეგ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აგირჩიეს...

... პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა გრანდიოზული გეგმები დასახა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. უკვე დაიწყო გიგანტური ლაშქრობა ახალი ზღუდეების ასაღებად.

შენ პარტიის ერთგული ჯარისკაცი ხარ და არა მგონია ვერ მიხვდე, სად არის შენი ადგილი, რაისაბჭოს აღმასკომის ვრცელ კაბინეტში თუ საბჭოთა მეურნეობის იმ ათასობას მუშასთან, რომლებიც ვუკაცურად იბრძვიან მინდვრებში, ფერმებში, წარმოების ყველა უბანზე.

დილით გივი მშვიდად გრძნობდა თავს. მას უკვე ეპოვნა საკუთარი პასუხი პარტიის მოწოდებაზე.

იმავე დღეს გივი დუჩიძემ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს გაეთავისუფლებინათ იგი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და გაეგზავნათ იქ, სადაც წყდება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ბედი.

მისი თხოვნა დაკმაყოფილეს.

ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა საბჭოთა მეურნეობაში.

ძველმა მექანიზატორმა შალვა ტეტიაშვილმა, რომელიც მწვანე კვადრატების შესანიშნავი ოსტატია, გულით გაიხარა, როცა მას გუშინწინ დილის 7 საათზე დირექტორი ეწვია.

— ყოჩაღად იყავი, ჩვენო გივი! — თქვა ტეტიაშვილმა, — პარტიის დავალებას პირნათლად შეასრულებთ, თავს არ შევირცხვენთ, ათას ოთხასი ჰექტარის ნაცვლად სიმინდს დავთესავთ ათას ექვსას ჰექტარზე.

— ბარდის საქმე როგორ არის? — შეეკითხა გივი.

— ამ გაზაფხულზე პირველად დავთესეთ ბარდა 800 ჰექტარზე, აქედან ნაწილი დაითესა ფართო მწკრივებად. ეს საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ კულტივაცია.

— კარგი იქნება ნაწვერალზეც დავთესოთ ბარდა დაახლოებით 500 ჰექტარზე — თქვა დირექტორმა.

დიდი და მრავალდარგოვანი მეურნეობა ამბარიათ საგარეჯოელებს. მათ განკარგულებაშია 16 ათასი ჰექტარი ფართობი. აქედან სავარგულებია 13 ათასი ჰექტარი, 5 ათას ჰექტარამდე სახნავ-სათესია, საშემოდგომოდ დათესილია 2 ათასი ჰექტარი მარცვლეული, 800 ჰექტარი მზესუმზირა, აქედან 100 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად, მეურნეობას აქვს 281 ჰექტარი ვენახი.

მეძროხეობის ფერმაში 888 ძროხა მყავთ. შარშან აქ ერთ საფუარაქე ძროხაზე 1.600 კილოგრამი რძე მიიღეს, მიმდინარე წელს თვითეულ ძროხაზე გეგმით 1900 კილოგრამი რძე უნდა მიიღონ, მაგრამ ფერმის მუშაკები ამბობენ, წელადობის საშუალო მაჩვენებელს 2 ათას კილოგრამამდე გავზრდით...

გარეჯის ზეგანზეა გაშლილი საბჭოთა მეურნეობის 18 ათასზე მეტი ცხვარი. უკვე დამთავრდა ადრეული დოლი. მიღებულია 5.755 ჯანსაღი ბატკანი.

ორი დღე არც ისე დიდი დროა, მაგრამ ახალმა დირექტორმა უკვე მოასწრო კრიტიკულად გადაესინჯა მეურნეობის გეგმები.

— თუ კარგად ვიმუშავებთ, — ამბობს გივი, — ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ საგეგმო დავალებებს. დარწმუნებული ვართ, ასეც იქნება. პარტიის მოწოდებას ვუპასუხებთ გაათკეცებული შრომით.

ასე იპოვნა გივი დუჩიძემ თავისი ადგილი იმ მრავალმილიონიან არმიაში, რომელიც ახლა სოფლის მეურნეობის ახალ ზღუდეებს უტევს ვაჟკაცურად.

წარმატება ვუსურვოთ მას.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მჯკიცედ დავიცვათ ვაჭრობის წესები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ზოგიერთ ორგანიზაციასა და საწარმოში სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების მომატებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების სხვა დარღვევათა ფაქტების შესახებ. ამ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის საგაჭრო ორგანიზაციები, ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ქმედით კონტროლს არ ახორციელებენ სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვისადმი. ამის შედეგად სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ გვხვდება მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების სხვა უხეშ დარღვევათა მრავალი ფაქტი.

1962 წელს შემოწმებული 944 საწარმოდან დარღვევა და ბოროტმოქმედება გამოვლინებულ იქნა 375 საწარმოში. შემოწმებამ ცხადყო, რომ ქობულეთის რაიონში — აჭარის კურორტვაჭრობის განყოფილების სავაჭრო ქსელში დარღვევა მოხდა 13 მაღაზიაში, აქედან 9 სახეობის საქონელს მოუმატეს სახელმწიფო საცალო ფასები. აჭარის კორპკავშირის ოჩხამურის მუშათა კოოპერატივის ტქვს მაღაზიაში ზოგიერთი საქონელი იყიდებოდა ისე, რომ ფასები გაადიდეს 3,12 და 55 პროცენტითაც კი. დადგენილია უფაქტური საქონლით ვაჭრობის, დეფიციტური საქონლის გადამალვისა და სხვა ბოროტმოქმედების ფაქტები.

უხეშად ირღვევა კოოპერაციული ვაჭრობის წესები აჭარის კოოკავშირის სისტემაში. აქ აჭარის კოოკავშირის გაყიდების სექციის წარდგენით შესყიდულ 1092 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფზე დაიწესეს გადიდებული ფასები, რის შედეგადაც ბათუმის კოოვაჭრობამ სხვადასხვა პირებს უკანონოდ გადაუხადა დაახლოებით 15 ათასი მანეთი.

რუსთავის კოოვაჭრობამ დადგენილი წესის დარღვევით შეისყიდა პროდუქტები უფრო ძვირად, ვიდრე ბაზარში იყიდებოდა.

გამოვლინებულია ბოროტმოქმედებანი გალის რაიკავშირის, ლენინგორის რაიკოოპერატივის სისტემაში.

დადგენილია იმის ფაქტები, რომ ცალკეული სავაჭრო ორგანიზაცია სავაჭრო ქსელში უშვებდა არაკონდიციურ საქონელს. ამიერკავკასიის რკინგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს თბილისს განყოფილებამ 1961 წლის დეკემბერში თავის მაღაზიას ახალციხეში გაუგზავნა ხარისხოვანი რეზნის ფეხსაცმელი და ამავე დროს არაკონდიციურიც. ყველა ეს ფეხსაცმელი იყიდებოდა როგორც სრულფასოვანი. ამავე მაღაზიის საწყობში აღმოჩნდა გადამალული 50 პროცენტამდე ჩამოფასებული საქონელი, რომელიც ჩამოსაფასებელი არ იყო.

სამტრედიის რაიკავშირის გამგეობა სათანადო კონტროლს არ უწევდა საქვეუწყებო კოოპერაციული ორგანიზაციებისა და სავაჭრო საწარმოების მუშაობას, არ ახორციელებდა გადამწყვეტ ღონისძიებებს ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად. ვაჭრობის წესები უხეშად ირღვეოდა კულაშის სოფლის კოოპერატივის უნივერმაღში, დაბლა გომის, გომის, დაფნარის სოფლის მაღაზიებში.

მიუხედავად იმისა, რომ ასე უხეშად ირღვეოდა საცალო ფასები და ვაჭრობის წესები, რაიკავშირის გამგეობამ, შემოწმების შედეგები რომ განიხილა, აშკარად ლიბერალური გადაწყვეტილება მიიღო.

1961 წლის განმავლობაში გამოვლინდა დარღვევისა და ბოროტმოქმედების 731 შემთხვევა, მათ შორის სახელმწიფო ფასების 139 დარღვევა და მომხმარებელთა წონაში და ანგარიშში მოტყუების 575 შემთხვევა ქალაქ თბილისის სავაჭრო ქსელში.

ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები დადგენილია აგრეთვე ქალაქ ფოთის, ახალციხის, ბათუმის, ჯგეგეჭკორის, ყვარლის, ოჩამჩირის, თერჯოლის, თეთრი წყაროსა და ხაშურის რაიონების სავაჭრო ქსელში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო საქმიად არ მუშაობს ფასწარმოქმნის საკითხებზე. ზშრიად ვიოლინურდება სახალხო მოხმარების საქონლის ფასების პრეისკურანტთა პროექტების განხილვა, ზოგჯერ კი ფასებს ამტკიცებენ ისე, რომ საკმაოდ არ ამოწმებენ მათს გეგმურ და ფაქტიურ კალკულაციას. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე შემოტანილი და ადგილობრივი წარმოების ერთგვაროვანი საქონლის საცალო ფასების გაწონასწორების საკითხებს, რაც ხელს უწყობს მყიდველთა ანგარიშში მოტყუებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა ვაჭრობის წესების ზემოთ აღნიშნული უხეში დარღვევები, განსაკუთრებით კი სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების მომატების შეუწყნარებელი ფაქტები, იმის შედეგია, რომ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, მათი სავაჭრო ორგანიზაციები რამდენადმე შეეგუენ ამგვარ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს და დამაკმაყოფილებლად არ აწარმოებენ ბრძოლას ამ ბოროტების წინააღმდეგ.

სავაჭრო სწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მათი პარტიული კონტროლის კომისიები ძლიერ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სახელმწიფო საცალო ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის საკითხებზე. ფასების დარღვევისა და მყიდველთა მოტყუების ფაქტები, რომლებიც კომუნისტთა თვალწინ ხდება, არ იქცევა პარტიული კრებების დროული და პრინციპული განხილვის საგნად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სუსტად აწარმოებენ ბრძოლას საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო ფაქტების — სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში საქონლის საცალო ფასების უხეში დარღვევების, მყიდველთა მოტყუების, გაფლანგვის, დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ისინი პრინციპულ პოლიტიკურ შეფასებას არ აძლევენ ამ დაუშვებელ მოვლენებს, მკაცრ პასუხისგებაში არ აძლევენ დამნაშავეებს, არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს, რათა შესრულდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი იმის შესახებ, რომ დაკომპლექტდეს სავაჭრო ორგანიზაციები პატიოსანი მუშაკებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებთა და ქალებით. ვაჭრობაში დარღვევებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში საკმარისად არ არიან ჩაბმული საზოგადოებრიობა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. სარეგიონო და დუქნის კომისიათა წევრები. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ამიერკავკასიის რკინგზის მუშათა მომარაგების სამმართველოების, აგრეთვე აღგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მუშაობა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში გაფლანგვის, დატაცების წინააღმდეგ, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევების, სახელმწიფო საცალო ფასების მომატების, მყიდველთა ანგარიშში მოტყუებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, აღგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ უაღრესად მტკიცე, ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას ბოროტმოქმედება ვაჭრობაში. სასტიკ პასუხისგებაში უნდა მიეცენ, მათ შორის სამუშაოდან მოიხსნან და სასამართლოს გადაეცენ.— საცალო ფასების მომატების, მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუების დამნაშავენი: სისტემატური კონტროლი უნდა გაეწიოს ფასების დაცვას ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ამ მუშაობაში უნდა ჩაებან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სარეგიონო და დუქნის კომისიათა წევრები.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, პარტიის თბილისის, რუსთავისა და ფოთის საქალაქო კომიტეტებს, ახალციხის, ჯეგეჭკორის, ყვარლის, სამტრედიის, თეთრი წყაროს, თერჯოლისა და ხაშურის რაიკომებს წინადადება მიეცათ განიხილონ მასალები სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების სერიოზულ დარღვევათა შესახებ და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ დამნაშავენი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ განახორციელონ მტკიცე ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს სახელმწიფო საცალო ფასების მომატებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების სხვა დარღვევათა ფაქტები;

ხასტიკ პასუხისგებაში მისცენ — მათ შორის სკკპ რიგებიდან ეარიცხონ და სასამართლოს გადასცენ — საცალო ფასების მომატების, მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუების დამნაშავენი;

მუდმივი კონტროლი დაიწესონ ფასების დაცვისადმი, ჩაებან ამ მუშაობაში ფართო აქტივი — საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები, აღგილობრივი საბჭოების დეპუტატები, დიასახლისები, პენსიონერები და სხვ.;

შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გადაჭრით გაძლიერდეს მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, რესპუბლიკის ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებმა უნდა დაამყარონ ეფექტური ტექნიკური პირობების შეთანხმებასა და დამტკიცებაში, აგრეთვე უზრუნველყონ აღგილობრივი მრეწველობის წარმოების საქონლის საცალო ფასების დროული დაწესება; გადაჭრით აღკვეთონ სავაჭრო ქსელში ისეთი საქონლის შეტანა, რომლის საცალო ფასები არ არის დამტკიცებული დადგენილი წესით.

რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში სახელმწიფო საცალო ფასების მომატებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ფაქტების მასალები გადაეცათ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებს, რათა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ დამნაშავენი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფასების სახელმწიფო საცალო ფასების მატებას და სავსებით შეუწყნარებლად მიიჩნიათ სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის, მყიდველთა ანგარიშში მოტყუების ცალკეული შემთხვევების არსებობაც კი. აღგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი სავაჭრო საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასებზე სწორი გამოყენებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის წესების უხეშ დარღვევათა მასალები. ზოგიერთ მუშაკს დაედო მკაცრი სასჯელი.

ბათუმის კოოპვაჭრობის დირექტორი ზ. თავკარიელიძე მოიხსნა თანამდებობიდან და გამოეცხადა საყვედური.

სამტრედიის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ბოხუა მოიხსნა სამუშაოდან, ხოლო ფოთავაჭრობის დირექტორი ვ. ოჩიგავა განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

თეთრი წყაროს რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, შ. ბეტრიელს, ხაშურის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ლ. ლაცაბიძეს, აჭარის კორპკავშირის ქობულეთის განყოფილების დირექტორს ფ. ჭყონიას, ლენინგორის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს ი. პაპუნაშვილს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამომხმარებლო კოოპკავშირის თავმჯდომარეს ი. გლდაგასა და ამიერკავკასიის რკინგზის თბილისის მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსს ა. ჯორბენაძეს ვამეცხადათ საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

აჭარის კოოკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ს. ზოიძეს გამოეცხადა საყვედური. (საქდესი).

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო აგრონომებო და ზოოტექნიკოსებო, ვეტერინარო ექიმებო, მექანიზატორო ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ეკონომისტ-ორგანიზატორებო, რომლებიც დაწესებულებებში მუშაობთ, გამოიჩინოთ ხალხის წინაშე მაღალი მოვალეობის გრძნობა, წავიდეთ სამუშაოდ უშუალოდ წარმოებაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში, მოახმაროთ თქვენი ცოდნა და გამოცდილება სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. ბაბილუას ვლადიმერ ილიას-ძეს — ლოტბარს
2. გამსახურდიას აქვსენტი ალექსანდრეს-ძეს — თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარ რეჟისორს
3. ლორთქიფანიძეს ალექსანდრე სერგეს-ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს
4. მამულაშვილს ალექსანდრე გიორგის-ძეს — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს
5. მორდასოვს პეტრე პავლეს-ძეს — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის უფროსს, მხატვრულ ხელმძღვანელს
6. ნაგორნის ნიკოლოზ პავლეს-ძეს — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუ

მაგისტრალზეა ახალი ქართული ელმავალი

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანა საბჭოთა კავშირის რკინიგზის ელექტროფიცირებულ მაგისტრალებს ამარაგებს მძლავრი ლოკომოტივებით — რვაღერძიანი ელექტრომავლებით.

მოკლე დროში ქარხნის კოლექტივმა აითვისა ელმავლის ყველა ძირითადი კვანძების წარმოება და 1958 წლისან შედარებით ოთხჯერ გაზარდა ელმავლების მშენებლობა. საწარმოს კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულების ინიციატორად გამოვიდა და ვალდებულება იკისრა 1963 წლისათვის აითვისოს შვიდწლედით დასახული საპროექტო სიმძლავრენი. ამ დროისათვის ჩვენი რესპუბლიკა ელმავლების მშენებლობის დარგში უკან მოიტოვებს ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით როდი კმაყოფილდება. საწარმოს ინჟინრები და კონსტრუქტორები, ნოვატორები და რაციონალიზატორები დაუცხრომლად იბრძვიან ელმავლის გაუმჯობესებისათვის. აქ ერთსულოვნად გადაწყვიტეს შექმნათ ახალი ელმავალი ტ-8 და პირველი საცდელი ელმავალი გამოეშვათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის. სახელოვანმა კოლექტივმა პირობა შეასრულა.

ეს ელმავალი საბჭოთა კავშირში დღემდე გამოშვებულ ელმავალთა შორის ყველაზე მძლავრად ითვლება. მისი სიმძლავრე 25 პროცენტით აღემატება სერიული 8-ღერძიანი ელმავლის სიმძლავრეს, ხოლო მისი წონა 8 ტონით ნაკლებია ამ უკანასკნელთან შედარებით.

ახალმა ელმავალმა სამხრეთ ურალის რკინიგზაზე უკვე გაიარა სახელმწიფო გამოცდა და კარგი შედეგები აჩვენა. წელს ქარხნის კოლექტივს დავალებული აქვს კიდევ გამოუშვას ორი ასეთი ელმავალი.

ელმავალმშენებლებმა ნაყოფიერ შრომასთან ერთად კარგი დასვენებაც იციან. საწარმოს ტერიტორია რამდენიმე ჰექტარზეა გადაჭიმული, რომელიც მუშათა უშუალო მონაწილეობით კარგად არის გამწვანებული. აქ ნახავთ სხვადასხვა ხეხილის ნარგავებს. შვიდწლედის მეოთხე გაზაფხულზეც თავისუფალ დროს მზრუნველობას არ აკლებენ ეზოს გამშვენიერებას, რათა უფრო ლამაზი და თვალწარმტაცი იყოს მათი მშობლიური ქარხნის ტერიტორია.

• • •

სურათზე: მარჯვნიდან — მოწინავე ზეინკლები შ. დიდებაშვილი, ი. ქაშიბაძე, გ. პაპანიაშვილი და ჯ. გეჯაძე ჩამუშაოს დამთავრების შემდეგ ქარხნის ეზოში.

საპირველმაისო შრომითს ვახტზე

ათასი მანეთი გაგარინის ანგარიშზე

რუსთავი. (საკ. კორ.). მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. მოდებაძემ რუსთავში ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა სურვილი თავის ბრიგადის საპატიო წევრად შეეყვანა პირველი საბჭოთა კოსმონავტი ი. გაგარინი. მიენიჭებინა მისთვის მშენებლის უმაღლესი თანრიგი და მისთვის დარიცხული თანხა შეეტანა შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში.

ამ დღეებში აქ იანგარიშეს ი. გაგარინის გამოეშვებდა და აღმოჩნდა, რომ რვა თვეში მისთვის დარიცხულია 1.000 მანეთამდე. მთელი ეს თანხა შეტანილია შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში.

— რა სახსრებიდან ერიცხება ი. გაგარინს გარკვეული თანხა? ამ კითხვაზე ბრიგადირმა შ. მოდებაძემ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ნურავინ იფიქრებს, რომ ამ თანხას თითქოს ბრიგადის წევრებს ვაკლებთ და ი. გაგარინს მივიცხავთ. სრულიადაც არა. ი. გაგარინისათვის დარიცხული თანხა ეს არის ზებგზმითი ეკონომია, რასაც ჩვენ ვაღწევთ შრომის საყოფიერების ზრდით, მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით. ახალი ინდუსტრიული მეთოდების დანერგვითა და გამოყენებით.

რუსთავში შენდება სახლები, კეთდება საშვილიშვილო საქმე და ყოველივე ამაში თავისი წვლილი შეაქვს საპატიო მშენებელს, საბჭოთა კავშირის პირველ კოსმონავტს ი. გაგარინს.

ზალზის კეთილდღეობის გაუმჯობესება მშრომელთა დანაზოგების ზრდის საფუძველია

გ. ა. ჩხეიძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

მიმდინარე წელს სრულდება 40 წელიწადი, რაც დაარსდა სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები, რომელთაც ფართო ქსელი აქვთ ყველა ქალაქში, რაიონსა და სოფელში და დიდი პოპულარობით სარგებლობენ მშრომელთა შორის. შემნახველი სალაროები საშუალებას აძლევენ მოსახლეობას საიმედოდ, ხელსაყრელად და მოხერხებულად შეინახონ თავისუფალი ფულადი სახსრები, და ახლეხენ ფულად ანგარიშსწორებას.

საბჭოთა კავშირში შემნახველი სალაროების ანგარები ნამდვილად სახალხო დანაზოგია. შემნახველ სალაროთა მეანაბრეები არიან მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. ამჟამად საქართველოს მშრომელები შემნახველ სალაროებში ინახავენ თავიანთ პირად დანაზოგებს, რომელთა ოდენობა 238 მილიონ მანეთს აღემატება. რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეხუთე მცხოვრები შემნახველი სალაროს მეანაბრეა. მარტო მიმდინარე წლის სამ თვეში ანაბრების თანხა საქართველოს შემნახველ სალაროებში 12 მილიონი მანეთით და მეტად გაიზარდა.

დამახასიათებელია, რომ მშრომელთა პირადი ბიუჯეტების განმტკიცებამ გამოხატულება პოვა არა მარტო დანაზოგების თანხის გადიდებით, არამედ შემნახველ სალაროებში მათი შენახვის ხანგრძლივობითაც. ანაბრებისა და მეანაბრეთა რაოდენობის განუწყვეტელი ზრდა ერთ-ერთი უშუალო შედეგია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის დიდი ღონისძიებებისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში განახორციელეს პარტიამ და მთავრობამ.

1962 წლის დამდეგს შემნახველი სალაროების საერთო რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში 1.114-ს შეადგენდა. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია გაიხსნას ათობით ახალი შემნახველი სალარო, უმთავრესად მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კურორტებზე.

საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც შემნახველი სალაროების მომსახურებით სარგებლობენ თავისუფალი ფულადი სახსრების შესანახავად, პრაქტიკულად დარწმუნდნენ, რომ ეს საშუალებას აძლევს მათ უფრო რაციონალურად დაიკმაყოფილონ მზარდი კულტურულ-ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებანი. შრომით დანაზოგებით ბევრმა შეიძინა მსუბუქი ავტომობილნი, პიანინო, მაცივარი, მოტოციკლი, რადიო და ტელევიზორები, მოგზაურობენ და ა. შ.

თავიანთი დანაზოგები შემნახველ სალაროებში რომ შეაქვთ, მშრომელები ამით იღებენ მნიშვნელოვან პირად სარგებლიანობასა და უპირატესობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს შემნახველმა სალაროებმა შარშან მოსახლეობას ანაბრებისა და სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა პროცენტებისა და მოგებათა სახით გადაუხადეს დაახლოებით 13 მილიონი მანეთი. მიმდინარე წელს საქართველოს შემნახველ სალაროთა მეანაბრეები მიიღებენ გაცილებით მეტ პროცენტსა და მოგებას, ვიდრე 1961 წელს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უპირატესი მოხერხებულობა და შეღავათი მიეცეთ მეანაბრეებს, ხორციელდება ბევრი ახალი ღონისძიება მოსახლეობის მომსახურებაში. მეანაბრეს უფლება აქვს მინიჭებული გადაეტანოს თავისი ანაბარი საბჭოთა კავშირის რომელიც უნდა იყოს პუნქტში. ყველა ქალაქისა და რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროებს შეუძლიათ ვადაუხადონ მეანაბრეებს ფული სხვა ქალაქებისა და რაიონების შემნახველ სალაროთა მიერ გაცემული საშემნახველო წიგნაკებით, როგორც კი მიიღებენ საჭირო დადასტურებას ტელეგრამით.

ზ. ა. ჩხეიძე.

[illegible] ცენტრალურ შემნახველ სალაროში. ცენტრალურ შემნახველ სალაროში ანაბრის მიღების შესაძლებლობა ქმნის დიდ მოხერხებულობას, განსაკუთრებით იმ საათებსა და დღეებში, როცა შემნახველი სალარო, რომლის მეანაბრეც მოქალაქეა, არ მუშაობს.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ბევრი მსხვილი საწარმო და კოლეტურნეობა მშრომელთა პირადი განცხადებების შესაბამისად გადარიცხავენ შემნახველ სალაროებში ანაბრის სახით ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის თანხებს. მეანაბრეებს უფლება აქვს მინიჭებული გადარიცხონ თავიანთი ანაბრიდან კომუნალური მომსახურების თანხები — ბინის, ელექტროენერგიის, გაზის, ტელეფონის, რადიოსა და სხვა გადასახდელები.

უნაღდო ანგარიშსწორება მეტად მოხერხებულია მოსახლეობისათვის. ეს საშუალებას იძლევა არ დაკარგოს დრო ფულის მისაღებად დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში და შემნახველ სალაროში მისვლისათვის — ანაბრის სახით მიღებული თანხის შეტანის მიზნით. იმისათვის, რომ მოხდეს რაიმე გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საჭიროა აგრეთვე ნაღები დრო, ვიდრე ნაღდ ფულად ამ გადასახდელის შეტანისას.

სახელმწიფო შემნახველი სალაროებისათვის მინდობილი ფულადი სახსრებისა და ფასეულობათა შენახვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. რამდენ ხანსაც უნდა ინახებოდეს ანაბარი შემნახველ სალაროში, იგი ყოველთვის მეანაბრეს ეკუთვნის, რომელსაც მუდამ შეეძლია მიიღოს მისი ნაწილი ან მთელი თანხა მყისვე, დაუბრკოლებლად.

შემნახველი სალაროების ანაბრები ხელშეუხებელია. არ შეიძლება წარმოებდეს მათი მიმოქცევა მეანაბრის რაიმე ვალდებულების დასაფარავად, თუ არ არის მისი თანხმობა. ცნობები მეანაბრეებისა და სხვა კლიენტების შესახებ, მათ მიერ წარმოებული ოპერაციებისა და ანაბრების ანგარიშის მდგომარეობის შესახებ საიდუმლოდ ინახება.

საჭიროა, რომ ყველა მშრომელმა კარგად იცოდეს ის სარგებლიანობა და უპირატესობა, რომელსაც ანიჭებენ თავიანთ მეანაბრეებს შემნახველი სალაროები.

ათეულ ათასობით მშრომელი ყოველდღე მიმართავს შემნახველ სალაროებს — გაუფორმონ სხვადასხვა ფულადი ოპერაციები. შემნახველი სალაროების მუშაკთა ძირითადი ამოცანაა გაუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება, ზუსტად და კულტურულად გაიფორმონ ყველა ფულადი ოპერაცია. ყოველ მეანაბრეს შეუძლია ყოველთვის, პირველივე მოთხოვნით მიიღოს ანაბარი. შემნახველი სალაროები მშრომელთა პირადი ბიუჯეტების ნამდვილი ორგანიზატორი უნდა გახდნენ. (საქდესი).

ძვირფას შრომითს საჩუქრებს უმზადებს საპირველმაისო დღესასწაულს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი. აქ პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულეს, მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

საპირველმაისო ვახტს წარმატებით ეწევიან კომუნისტური შრომის ბრიგადები და ცალკეული დამკვრელები. მათ შორის აღსანიშნავია მჭსოველი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. ლაღაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათზე: თ. ლაღაძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეჯი დახმარება სოფელს

გ. ჩოგოვაძე,
საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი გაუკეთა მდგომარეობას სოფლის მეურნეობაში, დასახა გადაუდებელი და დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და სკკპ ახალი პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საქმეში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაძლიერება პარტიის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით შესრულდეს, მრეწველობის მუშაკებმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებს, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ მათ გადაჭრაში.

ამ მიზნით ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა სამრეწველო საწარმოთა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, კონსტრუქტორებს, ხელმძღვანელებს დააჩქარონ ახალი, უფრო სრულყოფილი და დიდი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების კონსტრუირება და გამოშვება, უფრო სწრაფად ათვისონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოწყობილობის, მინერალური სასუქებისა და საშენი მასალების წარმოების ახალი სიმძლავრეები, დროზე შეასრულონ სოფლის მეურნეობის შეკვეთები; ფართოდ დანერგონ ახალი, უფრო დიდი წარმადობის ტექნიკა.

პარტიის ეს მოწოდება დიდ ამოცანებს უსახავს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს. დასახულია ღონისძიებები, „გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ჩვენმა საწარმოებმა ვალდებულება აიღეს მომდინარე წელს სოფლის მეურნეობისათვის დამატებით დაამზადონ მთელი რიგი მანქანები და აპარატები, მათ შორის ჩაის ბუჩქის სასხლავი აპარატები, ფუმიგატორები, კულტივატორი-მცენარეთმკვეთავები და სხვა; უზრუნველყონ ჩაის პლანტაციებში მომუშავე თვითმავალი „სხ-8 გ" და მასზე დასაკიდი აპარატები სათადარიგო ნაწილებით.

გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსაშენებლო მრეწველობის საწარმოები მოაწყობენ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების გამოშვებას, მათ შორის „დტ-54," „ბელორუსისა" და „ს-80" ტიპის ტრაქტორების ღერძების, მალაკების, ლილვების და სპეციალური ჭანჭების დამზადებას გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" მოთხოვნილების შესაბამისად. მართალია, ჩვენს ქარხნებში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხარისხი ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭო ზომებს იღებს ამის აღმოსაფხვრელად.

ამასთანავე საჭიროა გადავხედოთ მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების ფასებს მათი შემცირების მიზნით.

სათადარიგო ნაწილებზე სოფლის მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ უზრუნველსაყოფად სახალხო მეურნეობის საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია გაიფართოოს მათი წარმოება წნორის მექანიკურ ქარხანაში. ამ ქარხნის ახალი საამქროს პროექტი უკვე შედგენილია.

სოფლის მეურნეობის ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო განაგრძობს მუშაობას ჩაის პლანტაციების მოვლის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის. ჩაის ფოთლის სკარეფ მანქანებზე, მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის საჭირო ახალ ტექნიკაზე, ციტრუსების მოვლის და ეთერზეთოვანი კულტურების აღების სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

საკონსტრუქტორო ბიურო უკვე ამთავრებს ვენახში რკინაბეტონის ბოძების ჩასასმელი მანქანის საქარხნო გამოცდას. შექმნილია გუთანი-კულტივატორი ვენახის მწკრივთაშორისებისა და ერთდროულად ვაზთა შორის მწკრივნი ნიადაგის დასამუშავებლად. უახლოეს ხანში დაიწყება ამ კულტივატორის გამოცდა.

შექმნილია ციტრუსების საფუმიგაციო მანქანა, რომელმაც წარმატებით გაიარა სახელმწიფო გამოცდა.

წელს უნდა ჩატარდეს თამბაქოს ფოთლის შემტები ექსპერიმენტული მანქანის, თამბაქოს ამღები მანქანებისა და თამბაქოს ფოთლის მომცელი დაზნის საქარხნო გამოცდა.

საკონსტრუქტორო ბიურო მალე დაამთავრებს სპეციალურად ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ განკუთვნილი ოთხთვლიანი სამთო თვითმავალი შასის საცდელი ნიმუშის აგებას და შეუდგება მის საქარხნო გამოცდას.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში ინგირის საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის გაერთიანების ბაზაზე შექმნილია საცდელი მეურნეობა, სადაც ჩაის პლანტაციების დამუშავების მთელი კომპლექსი და განსაკუთრებით ფოთლის კრეფა იწარმოებს მანქანებით. ეს ღონისძიება ფიდად შეუწყობს ხელს დაჩქარებს პლანტაციების მოვლის პროცესებისა და ფოთლის კრეფის მექანიზაციას.

ამიმდინარე წელს ჩატარდება 0,6 ტონის სამთო თვითმავალ შასიზე დასაკიდი ვენახის სამთო შემსხურებლის და მაღალღეროვანი კულტურების სამთო კულტივატორის ნიმუშების საქარხნო გამოცდა.

ეჭვი არ არის, რომ ამ ახალი მანქანების სოფლის მეურნეობაში დანერგვა ამაღლებს შრომის საყოფიერებას, და ამასთან დიდად შეამსუბუქებს მეტად შრომატევად სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესრულებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სამთო თვითმავალი შასების სრულყოფას აფერხებს სათანადო სიმძლავრის, შედარებით მჩატე და ამასთანავე საკმარისად ცვეთგამძლე ძრავების უქონლობა. ამჟამად წარმოებაში მყოფი სატრაქტორო ტიპის ძრავების ცვეთგამძლეობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე საჭიროა. ისინი ტლანქი და ძმიმეა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების, ბერბიციდებისა და სხვა ქიმიური საშუალებათა წარმოების გადიდებას.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა წარმოების გაფართოების მეშვეობით ყოველწლიურად ზრდის მინერალური სასუქების, ამონიუმისა და ნატრიუმის გვარჯილის გამოშვებას. 1961 წელს ქარხანამ გამოუშვა 1,5-ჯერ მეტი სასუქი, ვიდრე 1957 წელს. თავისი წვლილი შეიტანა სასუქის გამოშვებაში მეტალურგიულმა ქარხანამაც, რომლის კოქს-ქიმიურმა საამქრომ გასულ წელს გამოუშვა რამდენიმე ათასი ტონა ამონიუმის სულფატი, 1962 წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა სოფლის მეურნეობას წინა წელთან შედარებით გაცილებით მეტ მინერალურ სასუქს მისცემს, ხოლო 1965 წლისათვის ქარხნის წლიური წარმადობა რამდენჯერმე გადიდდება.

1964 წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს მისთვის მეტად საჭირო პროდუქციას — ბერბიციდს.

ამჟამად მუშავდება რესპუბლიკაში შარდოვანას წარმოების ორგანიზაციის საკითხი.

1961 წელს ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში ამუშავდა შაბიამნის წარმოების ახალი საამქრო, რის შედეგადაც შაბიამნის წლიური წარმოება მკვეთრად გაიზარდა.

ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკები მომდინარე წელს სოფლის მეურნეობას გეგმის ზევით მისცემენ 2000 ტონა აზოტოვან სასუქსა და 1070 ტონა შაბიამანს.

გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის 1962 წელს გეგმის ზევით გამოუშვებს:

80 ათას ტონა დაფქულ კირქვას მჟავე ნიადაგებში შესატანად, ათას ტონა კალიუმის შემცველ მტვერს სასუქად, რასაც ცემენტის ქარხნები მიაწოდებენ, 8 ათას ტონა კირს ვენახისა და სხვა ნარგავების შესაწამლად.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მარტის პლენუმზე აღნიშნა, რომ ვინაიდან მინერალური სასუქების წარმოების ორგანიზაცია დროს მოითხოვს, ხოლო სასუქები დღეს გვჭირდება, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს ორგანული სასუქების მაქსიმალურად გამოყენებას, რათა გავადიდოთ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავალი. ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა, კერძოდ დასავლეთ საქართველოს რაიონები, განიცდიან ორგანული სასუქების მწვავე ნაკლებობას.

ორგანული სასუქების ამ დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული ტორფის მდიდარი საბადოები, რომელთა საერთო ფართობი აღემატება 16,0 ათას ჰექტარს და შეიცავენ 1,0 მილიარდ კუბმეტრ ტორფის მარაგს.

მიუხედავად ასეთი დიდი შესაძლებლობისა, ტორფის სასუქების წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ძალზე ჩამორჩენილია. მოქმედი ტორფის ქარხნების წლიური წარმადობა არ აღემატება რამდენიმე ასეულ ათას ტონას, მაშინ როცა მარტო ჩაის პლანტაციებს ყოველწლიურად სჭირდება სულ მცირე 1,0 მილიონი ტონა ტორფსასუქი.

სახალხო მეურნეობის საბჭომ დასახა ღონისძიებები ტორფის ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქციისათვის. ამ მიზნით ნავარაუდევია მომდინარე წელს დაიხარჯოს 1,0 მილიონი მანეთი, ხოლო 1965 წლის ჩათვლით სულ — 6,0 მილიონი მანეთი.

ტორფის ქარხნები უკვე მომდინარე წელს ცდის სახით გამოუშვებენ 20 ათას ტონა ტორფსასუქის ახალ პროდუქციას — ტორფმინერალურ ამიაკურ სასუქს.

ტორფის ქარხნებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და ტორფის წარმოების განვითარების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში ჩამოყალიბდა ახალი ტრესტი „საქტორფი", რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოების მიზნით წელს მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება ამბერის საფუარის ქარხანა, რომლის წლიური საწარმოო სიმძლავრე შეადგენს 3000 ტონას. ამ წარმოების ნედლეულს წარმოადგენს ტკის მრეწველობის ნარჩენები.

გომის სპირტის ქარხანასთან გათვალისწინებულია სპირტის წარმოების ნარჩენების ბაზაზე მოეწყოს საფუარის საამქრო.

მიღებულია ზომები ძვლის და თევზის ფქვილის წარმოების გასაადიდებლად.

საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ჩვენი სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ნაკლზე, რომლებიც ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენენ რესპუბლიკის მრავალდარგობრივი კვების მრეწველობის მუშაობაზე და ამცირებენ ჩაის, ღვინის, კონსერვის, თამბაქოს და სხვა ძვირფასი პროდუქტების ღირსებას, რომლებითაც განთქმულია ჩვენი რესპუბლიკა.

ცნობილია, რომ ჩაის წარმოება სეზონური, და ამასთან სეზონის განმავლობაში ნედლეული მეტად არათანაბრად შემოდის. ეს იწვევს ჩაის ფაბრიკების არათანაბარ დატვირთვას, სიძნელეებს კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნებაში და ამცირებს ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტს, რაც ქმნის ზედმეტ კაპიტალურ დაბანდებათა აუცილებლობას.

უდავოა, რომ ჩაის ფოთლის არათანაბრად შემოსვლა ძირითადად კლიმატური პირობებითა და ჩაის მცენარის ბიოლოგიური თავისებურებებით იხსნება. მაგრამ არავითარ შემთხვევაში სწორი არ იქნებოდა ჩაის ფოთლის შემოსვლის ისეთი არათანაბრობა, როგორსაც ზოგჯერ აქვს ადგილი, აგვეხსნა მარტოოდენ ამ ობიექტური პირობებით. ამაზე დიდ გავლენას ახდენს ჩაის ფოთლის კრეფის ცუდი ორგანიზაცია და იერიშობანა, რაც ზიანს აყენებს როგორც მრეწველობას, ისე თვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს,

ჩაის ფოთლის კრეფის სწორ ორგანიზაციას მნიშვნელოვნად შეუძლია შეამციროს ფაბრიკებზე ფოთლის მიწოდების არათანაბრობა, რაც იმავე დროს ზრდის პლანტაციების მოსავლიანობას, აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს, მისი გადამუშავების პირობებს და საბოლოოდ პროდუქციის ხარისხს.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დიდი ჩამორჩენაა ყურძნის შესყიდვის დავალებათა შესრულებაში. განა ამაში ბრალი მხოლოდ კლიმატურ პირობებს მიუძღვის? სრულიადაც არა. ჩამორჩენა ძირითადად აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობით აიხსნება.

ჩვენი რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის პროდუქციაზე განსაკუთრებით მოსტნეულ კონსერვებზე, დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულება უკანასკნელ წლებში 60-75 პროცენტს არ აღემატება, მაშინ როცა ბოსტნეულის დამზადების დავალებანი წესდება არა განუხორციელად, არამედ სოფლის მეურნეობის გეგმების საფუძველზე.

ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ საკონსერვო ქარხნების ზონებში არსებულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მინიმუმამდე დაიყვანეს საკონსერვო ასორტიმენტის ბოსტნეულის მოყვანა. არსებულ ფართობებზე არ ხორციელდება საჭირო აგროღონისძიებები და მოსავლის თავის დროზე აღებაც კი, რის გამო ხშირად მოსავალი ფუჭდება ან ხარისხს კარგავს და დაბალი ხარისხის პროდუქციას ვიღებთ.

მოუწესრიგებელია აგრეთვე მრეწველობისათვის პირუტყვის თანაზომიერად მიწოდება. ეს კი არღვევს მრეწველობის ნორმალური მუშაობის რეჟიმს, რის შედეგადაც არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას ვიღებთ.

არანაკლებ მტკივნეული საკითხია პირუტყვის კონდიციის (ნაკვებობის) საკითხი. უკანასკნელ პერიოდში თანდათან კლებულობს უმაღლესი და საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ხვედრითი წონა, მატულობს დაბალი ნაკვებობისა და ჯანდაგი პირუტყვის ჩაბარება. მაღალი და საშუალო ნაკვებობის მსხვილფეხა პირუტყვის ხვედრითი წონა 58-62 პროცენტს არ აღემატება.

ქართული თამბაქო განთქმულია. სსრ კავშირის თამბაქოს ექსპორტში საქართველოს თამბაქოს ხვედრითი წონა 70 პროცენტს აღემატება და არ შეიძლება ამ კულტურას ყურადღება მოვაკლოთ. უკანასკნელ წლებში თამბაქოს მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებათა უხეში დარღვევები და კოლმეურნეობებში აღებული თამბაქოს გადასამუშავებლად სათანადო ტექნიკური ბაზის უქონლობა ამცირებს როგორც თამბაქოს საერთო მოსავლიანობას, ისე მის ხარისხს.

თამბაქოს რგვა წარმოებს აგროტექნიკით დაწესებული ვადების უხეში დარღვევით. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული მეთამბაქეობის კოლმეურნეობებში საშრობი ფარდულებთა და დასახარისხებელი ნაგებობები უზრუნველყოფა. არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება კოლმეურნეობებში თამბაქოს ფარდულებისა და დასახარისხებელ ნაგებობათა მშენებლობის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონები. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობებიდან შესყიდულ თამბაქოს ხარისხობრივი მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა, რაც მატერიალურ ზარალს აყენებს თვით კოლმეურნეობებს და საერთოდ სახელს უტეხს თამბაქოს. თუ 1951 წ. მთელ შესყიდულ თამბაქოში პირველი და მეორე ხარისხის თამბაქოს ხვედრითი წონა შეადგენდა 24,3 პროცენტს, 1959 წელს იგი არ აღემატებოდა 2 პროცენტს, 1960 წელს — 1,5 პროცენტს და 1961 წელს — 4,7 პროცენტს.

ბუნებრივი თამბაქოს ახალი კონსტრუქციის მექანიზებული საშრობი ახვლედიანის სისტემისა, რომლის საცდელი ნიმუშები ჩვენ მეთამბაქეობის ყველა რაიონში ავაშენეთ, უკვე შეიძლება მასობრივად დაინერგოს. მისი ღირებულება 5-6-ჯერ ნაკლებია, რკინის მილების მაგიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებული ხის ჩარჩოები, ხოლო საბრო მექანიკურ ნაწილს სახალხო მეურნეობის საბჭო დაამზადებს მოკლე ბანში.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება აგრეთვე მზესუმზირასა და სოიის დამზადების გეგმები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მზესუმზირას დამზადების გეგმის შესრულება 65 პროცენტს არ აღემატება, ხოლო სოიისა 25 პროცენტსაც ვერ აღწევს.

ზეთოვანი კულტურების განვითარება აუცილებელია არა მარტო ზეთის გამოსახდელად, არამედ კოტონის მისაღებადაც, რომელიც პირუტყვის საუკეთესო საკვებს წარმოადგენს და აუცილებელია მესაქონლეობის პროდუქტიულობის გაზრდისათვის. სოფლის მეურნეობამ უნდა შეძლოს ზეთოვანი კულტურების მოყვანა იმ რაოდენობით, რომ დაიტვირთოს ორი ზეთსახდელი ქარხნის საწარმო სიმძლავრე. რის შედეგადაც რესპუბლიკა ყოველწლიურად მიიღებს 20.000 ტონაზე მეტ კოტონს.

თავის მოხსენებაში მარტის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა გამოიყვანეს და ჩრდილოეთ კავკასიაში გაავრცელეს მაღალხარისხოვანი მზესუმზირას ჯიში, რომლის თესლს უცხოელებიც კი ითხოვენ. რატომ არ შეიძლება ამ მზესუმზირას გადმოტანა ჩვენს რესპუბლიკაში? ეს ხომ დამატებით შემოსავალს მისცემდა ჩვენს კოლმეურნეობებს და გაადიდებდა ზეთის გამოსავალს?

ჩვენს რესპუბლიკაში საუკეთესო პირობებია იმისათვის, რომ ფართოდ განვითარდეს ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც არის ეთერზეთოვნები და ტუნგო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის გაძლიერებისათვის. მეორე მხრივ ამ კულტურების განვითარება შეამცირებს ეთერზეთებისა და ტუნგოს ზეთის იმპორტს, რაც დიდ თანხებს დაუზოგავს ჩვენს სახელმწიფოს.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა და სრულყოფა, რაც ამჟამად ხორციელდება ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, იმის საწინდარია, რომ ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის მუშაობისა უსწრაფესად იქნება აღმოფხვრილი და იგი გადაიქცევა ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის უმძლავრეს დარგად.

გეგმის გადამეტებით

თბილისი. წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად, გამართულად მუშაობს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივი. მანქანა-დანადგარების

დასავლეთის მეატომეთა პროვოკაციული გეგმა

ჟენევა, 12 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ბ. კისლოვი** იუწყება:

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც კანადის დელეგატის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გაგრძელდა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვა.

ნეიტრალური ქვეყნების ყველა წარმომადგენელმა სხდომის დასაწყისში გულწრფელი მწუხარება და ღრმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეკომიტეტის ახალ სხდომებს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე კვლავ არ მოჰყოლია რაიმე პროგრესი. ეთიოპიის, ინდოეთის, შვეიცარის, ბირმის, მექსიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ნიგერიისა და ბრაზილიის დელეგატები მტკივნეულ მოწოდებდნენ ქვეკომიტეტის წევრებს დაუყოვნებლივ გამოეძებნათ შეთანხმების გზები. შესაძლოა, ჩვენ ისეთ მდგომარეობას ვუახლოვდებოდეთ, ხაზი გაუსვა ეთიოპიის წარმომადგენელმა, რომელსაც, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ გამოცხადებული ატომური იარაღის გამოცდა, როცა გვიანღა იქნება რაიმე ღონისძიების განხორციელება.

ამასთან დაკავშირებით ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებმა გადაჭრით მოითხოვეს არ დაუშვან ატომური იარაღის გამოცდა, სანამ კომიტეტს სხდომები ექნება.



დასავლეთელი დიპლომატი: — „განიარაღებისადმი კონტროლის ჩვენი გეგმები სავსებით კონკრეტულია...“
ე. ტარუს ნახატი რუნინულ გაზეთ „სკინტეიადან“.

შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის წარმომადგენელს ვ. ა. ზორინს.

ჩვენ, თქვა ვ. ა. ზორინმა, დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ბეერი ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლა, რომლებმაც გამოთქვეს არა მარტო თავიანთი მთავრობებისა და ხალხების, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს დიდძალ ადამიანთა აზრი, რომლებიც სულ უფრო მზარდი სიმტკიცით მოითხოვენ — შეწყდეს ატომური იარაღის ყველა გამოცდა.

ვითარება, რომელიც ახლა ამ საკითხში შეიქმნა, განსაკუთრებით შემაშფოთებელი და საშიშია იმ განცხადების შემდეგ, რომელიც გააკეთეს შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა. ეს განცხადება მოწმობს, რომ შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ინგარიში არ ეიუწიეს მთელ მსოფლიოს, ერთხელ კიდევ დაადასტურეს რა თავიანთი სგარეო პოლიტიკის კურსი, რომელსაც შეიძლება მხოლოდდამხოლოდ მოჰყვეს ახალი გამალებული ატომური შეიარაღება და მთელი საერთაშორისო ვითარების გაფწვავება. აღნიშნული განცხადება მოწმობს, განაგრძო ვ. ა. ზორინმა, რომ ამერიკის

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, ეტყობა, გადაწყვიტეს შეერთებული შტატების სამხედრო ნეიტრების გეგმების სარეალიზაციოდ განაზორიელონ ატომსფეროში ატომური იარაღის გამოცდის ახალი სერია. ისინი ცდილობენ ამოეფარონ ჩვენს ღრუბლი უსაფუძვლო ტექნიკურ მოსაზრებებს, რომ საჭიროა საერთაშორისო კონტროლი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვისადმი. იმისათვის, რომ საბოლოოდ გაფანტონ მათი იმედი, ვინც მოითხოვს შეწყდეს ატომური იარაღის ყველა გამოცდა, სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობს ამ საკითხზე, შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ულტიმატუმი წამოაყენეს.

აშკარაა, რომ, იმეორებენ რა საბჭოთა კავშირისათვის მიუღებელ მოთხოვნებს, შეერთებულ შტატებსა და ინგლისს აფიქრებთ არა მისწრაფება მიაღწიონ შეთანხმებას, არამედ ის, რომ გამონახონ შეთანხმების ჩაშლისა და თავიანთი გამოცდის გამართვების საბაბი.

საბჭოთა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომელიც გამოთქვა ინდოეთის წარმომადგენელმა და



ბაკოს, 12 აპრილი. (საკდესი). ღუნ ბონში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ნიტცე. ორი დღის განმავლობაში იგი მოლაპარაკებას გამართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერთან, საგარეო საქმეთა მინისტრ შრიდერთან და თავდაცვის მინისტრ შტრაუსთან. როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, ამ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იქნება საკითხი ნატოს ქვეყნების „ატომური პარტნიორობის“ შესახებ. ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბოლი ბონში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს, ნიტცე აპირებს მოითხოვოს ნატოს ქვეყნების და პირველ რიგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღების გაძლიერება.

ნიტცეს ვიზიტის ამ მიზანს ცხადყოფს მისი გამოსვლა ჰამბურგის უნივერსიტეტში, რომელსაც ეწვია ბონში გზად მიმავალი. ნიტცემ მოითხოვა ნატოს როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების გაძლიერება, ამასთან აღნიშნა დასავლეთ გერმანიის დიდმნიშვნელოვანი როლი.

ჰამბურგში გამოსვლის დროს ნიტცე აშკარად იმუქრებოდა საბჭოთა კავშირს. იგი იმუქრებოდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნება ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის ატომური, და განაცხადა, რომ ეს „განსაკუთრებით ეხება ბერლინის ახლანდელ მდგომარეობას“.

პენტაგონელი უტიფრად იმუქრება

ბონი, 12 აპრილი. (საკდესი). ღუნ ბონში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ნიტცე. ორი დღის განმავლობაში იგი მოლაპარაკებას გამართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერთან, საგარეო საქმეთა მინისტრ შრიდერთან და თავდაცვის მინისტრ შტრაუსთან. როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, ამ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იქნება საკითხი ნატოს ქვეყნების „ატომური პარტნიორობის“ შესახებ. ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბოლი ბონში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს, ნიტცე აპირებს მოითხოვოს ნატოს ქვეყნების და პირველ რიგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღების გაძლიერება.

ნიტცეს ვიზიტის ამ მიზანს ცხადყოფს მისი გამოსვლა ჰამბურგის უნივერსიტეტში, რომელსაც ეწვია ბონში გზად მიმავალი. ნიტცემ მოითხოვა ნატოს როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების გაძლიერება, ამასთან აღნიშნა დასავლეთ გერმანიის დიდმნიშვნელოვანი როლი.

ჰამბურგში გამოსვლის დროს ნიტცე აშკარად იმუქრებოდა საბჭოთა კავშირს. იგი იმუქრებოდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნება ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის ატომური, და განაცხადა, რომ ეს „განსაკუთრებით ეხება ბერლინის ახლანდელ მდგომარეობას“.

გვატემალის ახალგაზრდობა ილაშქრებს იდიგორას ფუნტესის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ.

სტუდენტებმა და ახალგაზრდა მუშებმა დემონსტრაცია გამართეს ქალაქ გვატემალის ქუჩებში. პოლიციელებმა მათ სასტიკად სცემეს.

სურათზე: პოლიციელების შეტაკება დემონსტრანტებთან.

ფოტო აპ-საკდესისა.

განიარაღება — ხალხთა მოთხოვნა

აგრესორები ცდილობენ ეთამაშებიან

ნ. ხრუშჩოვის სიტყვა

შვედურ და ფინურ ენებზე

სტოკჰოლმი, (საკდესი). სტოკჰოლმში მასობრივი ტირაჟით გამოიცა ბროშურად ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე. ბროშურის სათაურია „მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის“.

ჰელსინკი. (საკდესი). ფინეთში მასობრივი ტირაჟით გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1962 წლის 16 მარტს.

კლანტეტეგისაკენ ფრენის პრელუდია

პარიზი, 12 აპრილი. (საკდესი). „ერთი წლის წინათ ისტორიაში პირველად ადამიანის ხმა მოსწვდა დედამიწის კოსმოსური სივრცეიდან. ერთი წლის წინათ დაიწყო კოსმოსის დაპყრობა — მზის სისტემის პლანეტებისაკენ ადამიანთა ფრენის პრელუდია“, — ასე იწყებს გაზეთი „ლუმანიტე“ კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილ რეპორტაჟს.

პირველ გვერდზე გაზეთმა დაბეჭდა საბჭოთა კავშირის ვირის კოსმონავტი მფრინავის იური გაგარინის დიდი სურათი, აგრეთვე კოსმოსური ხომალდის „ლუმოსავლეთი-1“ სურათი, რომელთაც განხორციელდა ეს თვალსაჩინო გმირობა. ფოტოსურათების წარწერაა: „ერთი წლის წინათ გაგარინი აფრინდა, რათა მოეხდინა ყველაზე ფანტასტიკური ფრენა დედამიწის გარშემო“.

საფრანგეთის რადიოსადგურმა „ევროპა-1“ გუშინ თავის უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვებაში გადასცა ფირზე ჩაწერილი იური გაგარინის ხმა კოსმოსიდან.

მდგომარეობა ალჟირში

პარიზი, 12 აპრილი. (საკდესი). 18 მოკლული და 37 დაჭრილი — ასეთია „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ მკვლელთა დანაშაულის შედეგი ქალაქ ალჟირსა და ქალაქ ბონში გუშინ.

ბანდიტიზმი, აშკარა ნადირობა ალჟირის ეროვნების მოქალაქეებზე, შეიარაღებული თავდასხმა არაბთა უბნებზე — ასეთია ტაქტიკა, რომელსაც ფართოდ იყენებენ „იქამად ალჟირის ქალაქებში ოას-ელი ფაშისტები.

პარიზის გაზეთების ცნობით, მარტო ერთი საათის განმავლობაში გუშინ დღისით ქალაქ ალჟირსა და გარეუბნებში მოხდა 9 ტეროროისტული აქტი ალჟირელი ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ. დღით ადრე ალჟირელთა ჯგუფს, რომელიც სამუშაოზე მიდოდა, ცეცხლი დაუშინეს მიმავალი ავტომანქანიდან. სამი კაცი მოკლეს და ორი მძიმედ დაჭრეს. შენობებში, სადაც ალჟირელები იყვნენ, ააფეთქეს თორმეტი ბომბი.

რვა ნაღმი ესროლეს გუშინ „ზაფხულის სასახლეს“, რომელიც უკანასკნელ ხანამდე საფრანგეთის მთავრობის გენერალური დელეგატის რეზიდენცია იყო, ხოლო ამჟამად ყანდარმერიამ დაიკავა. 9 ყანდარმი დაჭრილია ნაღმების ნამსხვრევებით.

გუშინ ალჟირში ოფიციალურად დააფასტურეს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა მოლიანად გაანადგურა „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ დიდი ჯგუფი, რომელსაც 30 კაცი ოუკლეს. ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს დიდი დახმარება გაუწიეს ალჟირელმა გლეხებმა და მწყემსებმა, რომლებიც შეიარაღებულ იყვნენ მხოლოდ სანადირო თოფებით. ისინი ჩაუსაფრდნენ ყოფილი გენერლის ოას-ელთა მომხრე ბანდიტებს, გარშემორტყმენ მათ და დასახმარებლად მოიწვიეს ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები.

პარიზი, 13 აპრილი. (საკდესი). გუშინ ორანი, ალჟირის მეორე ქალაქი სიდიდით, ოას-ელთა ბანდებისა და წესრიგის დაცვის ძალების ქუჩის ბრძოლების არენა გახდა. ფრანს პრესის საგენტოს ცნობით, ბრძოლებში, რომლებიც ნაშუადღევს გაჩაღდა ქალაქის ცენტრში, მონაწილეობდნენ ტანკები. გამოყენებულია არტილერია, ტყვიამფრქვევები და ავტომატური იარაღი. „ულტრებმა“ ბარიკადები ჩაკეტეს მთელი რიგი ქუჩები. განსაკუთრებით გააფთრებული შეტაკებები მიმდინარეობდა პრეფექტურის შენობის მახლობლად.

ამერიკელ მეცნიერთა წერილი

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. (საკდესი). თვალსაჩინო ამერიკელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ განცხადებათა განყოფილებაში გამოაქვეყნა წერილი პრეზიდენტ კენედისადმი, რომელშიც გმობს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევას სამხრეთ ვიეტნამში.

წერილის ავტორები აღნიშნავენ „ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სამხედრო ჩარევის ფაქტს სამხრეთ ვიეტნამში ნგო დინ დიემის დამპალი, ოლიგარქიული დიქტატურის მხარდასაჭერად“ და წერენ, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნეს ჯარები თითქმის 5 ათასი კაცის რაოდენობით, დიდძალი სასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევი, არტილერია და ვერტმფრინავები ნგოდინდიემელთა ჯარისკაცების გადასაყვანად. შეიქმნა ამერიკის სპეციალური სარდლობა სამხრეთ ვიეტნამისათვის სამხედრო დახმარების გასაწევად.

„ყველა ამ ღონისძიების მიზანი, ხაზგასმით აღნიშნულია წერილში, ის არის, რომ ჩაახშონ სამხრეთვიეტნამელი ხალხის ნება, რომელიც წლებით იწარმოებს ბრძოლას, მონაწილეობს ფართო საერთო ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავს ნგო დინ დიემის ტირანული მთავრობისაგან ხსნას“.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევა სამხრეთ ვიეტნამში საერთაშორისო სამართლის, ჟენევის 1954 წლის შეთანხმებების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და თვით ამერიკის მაღალი იდეალების დარღვევაა. დასასრულ წერილის ავტორები მოუწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ამ ჩარევას და საშუალება მისცეს სამხრეთ ვიეტნამის ხალხს „ისარგებლოს თავისუფლებისა და ბედნიერების ბაყოფით“.

რეაქცია არ ცხრება

ანომ-პენი, 12 აპრილი. (საკდესი). საზღვარგარეთ მოკალათებულმა ტბმერის რეაქციამ გააქტიურა თავისი საქმიანობა კამბოჯაში არსებული წყობილების დამხობის მიზნით. „ყოველკვირეული „ნეაკ ჩეატ ნიუმი“, იმოწმებს რა სამხრეთ ვიეტნამის გაზეთ „ტენგ ჩუონგს“, იუწყება, რომ სიიგონში შეიქმნა „ახალი ოპოზიციური პარტია“ სახელწოდებით „ქმერის ახალი ჯვართიანება“. „ამ პარტიას“ სათავეში ჰუდგნენ ქმერის ხალხის გამოუსწორებელი მოღალატეები სამ სარი და სონ ნგოკ ტანი.

„ტენგ ჩუონგის“ თანახმად, წერს შემდეგ ყოველკვირეული, ახალი პარტიის მიზანია შექმნას კამბოჯაში „თავისუფალი რესპუბლიკური რეჟიმი“ (საიგონის ყაიდაზე!) იმ გზით, რომ ხელი იგდოს ძალაუფლება გასამხედროებელი რაზმების დახმარებით, რომლებიც ანტიკომუნიზმის დროშით იბრძვიან.

„ნეაკ ჩეატ ნიუმი“ შემდეგ აღნიშნავს, რომ სამ სარი და სონ ნგოკ ტანი ახლა აგროვებენ დაქირავებულებს სამხრეთ ვიეტნამში მცხოვრებ ქმერის უმციროსობას შორის. რომ გაიადვილონ საქმე, შემგროვებლები ცდილობენ დაარწმუნონ ქმერები, რომ პარტია „ქმერის ახალი ეაერთიანებაა“ თითქოს ნაქმნილია პრინც ნოროდომ სიანუკის მითითებით „კოხინხინის მიწების დაბრუნებისათვის ვიეტნამელ ხელისუფალთა წინააღმდეგ ბრძოლის“ მიზნით. ყოველკვირეული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქმერების რეაქციისა და მათი ბატონ-პატრონების მთელი ეს გეგმები განწირულია ჩასაფუშავად.

მოგება და მსხვერპლი

ნიუ-იორკი, 12 აპრილი. (საკდესი). რამდენიმე დღის წინათ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მეტალურგიული მრეწველობის მეწარმეები და ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ხელმძღვანელები შეთანხმდნენ ორწლიანი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ.

ამ ხელშეკრულებამ, რომელსაც კანადის მთავრობა მიესალმა როგორც „სანიმუშოს“, რომლისგანაც მაგალითი უნდა აიღონ მრეწველობის სხვა დარგებმა და პროფკავშირებმა, ცოტა რამ მისცა მუშებს.

ამერიკის საზოგადოებრიობა ვარაუდობდა, რომ რამდენადაც ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშებს უარი უთხრეს ხელფასის გადიდებაზე „ეროვნული ინტერესებისათვის“, ამ დარგის მეწარმეები აგრეთვე ვალდებდნენ „მსხვერპლს“ და თავს შეიკავებდნენ ფასების ზრდისაგან.

მაგრამ ამკერადაც მონოპოლისტები თავიანთი თავის ერთგულნი აღმოჩდნენ.

როგორც ჩანს, ფოლადის მაგნატებს მოეჩვიათ, რომ, თუ ისინი იღებენ მაქსიმალურ მოგებას, მუშებს კი აიძულებენ გაიღონ მსხვერპლი, ამით ემსახურებიან „ეროვნულ ინტერესებს“.

ქუჩა, სადაც ნაცნობებს შეხვდები

ერთმა კომპოზიტორმა დაწერა ოპერა „უდაბნო“, რომელიც დიდგა პარიზის სცენაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ოპერის ავტორი მაყურებელთა შორის მყოფ როსინის შეეკითხა, რა აზრისა ხართ ჩემი ოპერის შესახებო.

— თქვენი ოპერა, — უპასუხა როსინიმ, — უდაბნო არ არის. უფრო სწორედ იგი დიდი ქუჩაა, სადაც ყოველ ნაბიჯზე ნაცნობს შეხვდები.

რომელ ბოლოსთან?

მოსამართლე, შემდეგში კი ინგლისის ლორდ-კანცლერი ჯორჯ ჯეფრი ძალიან მკაცრი კაცი იყო. ერთხელ სასამართლოზე იგი თავისი ჯოხით ერთ ბრალდებულს შეეხო და უთხრა:

— ჩემი ჯოხის ბოლოსთან თქვენ ხედავთ სასიზიღარ გაიძვერას.

— სრული სიმართლეა, — წარმოთქვა ბრალდებულმა, — მხოლოდ საკითხავია: რომელ ბოლოსთან?

საუბარი საავადმყოფოში

ცოლი საავადმყოფოში მივიდა ქმართან ოპერაციის გაკეთების წინ.

— ჩვენ ამათი 25 დოლარი გვმართებს, შენ რომ საავადმყოფოში მოგათავსეს, 30 დოლარი — მომსახურებისა, 50 დოლარი ექიმისა და 400 დოლარი მოზვალი ოპერაციისათვის. რაღა მემკვეულება, რომ გარდაიცვალო?

— ნუ დელავ, ძვირფასო, მე ამათი იმდენად დიდი თანხა მმართებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მომკლავენ.

პენტაგონელი ულტიმატუმი

ბონი, 12 აპრილი. (საკდესი). ბონში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ნიტცე. ორი დღის განმავლობაში იგი მოლაპარაკებას გამართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერთან, საგარეო საქმეთა მინისტრ შრიდერთან და თავდაცვის მინისტრ შტრაუსთან. როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, ამ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იქნება საკითხი ნატოს ქვეყნების „ატომური პარტნიორობის“ შესახებ. ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბოლი ბონში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს, ნიტცე აპირებს მოითხოვოს ნატოს ქვეყნების და პირველ რიგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღების გაძლიერება.

ნიტცეს ვიზიტის ამ მიზანს ცხადყოფს მისი გამოსვლა ჰამბურგის უნივერსიტეტში, რომელსაც ეწვია ბონში გზად მიმავალი. ნიტცემ მოითხოვა ნატოს როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების გაძლიერება, ამასთან აღნიშნა დასავლეთ გერმანიის დიდმნიშვნელოვანი როლი.

ჰამბურგში გამოსვლის დროს ნიტცე აშკარად იმუქრებოდა საბჭოთა კავშირს. იგი იმუქრებოდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნება ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის ატომური, და განაცხადა, რომ ეს „განსაკუთრებით ეხება ბერლინის ახლანდელ მდგომარეობას“.

არგუმენტები და ყალბი არგუმენტები

საბჭოთა კავშირის მოქალაქემ, კომუნისტმა იური გაგარინმა ერთი წლის წინათ მსოფლიოში პირველმა შემოუფრინა ჩვენს პლანეტას კოსმოსური ხომალდით „ლუმოსავლეთი-1“ და მშვიდობით დაბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალზე. ამ უმეგალითო გმირობის აღსანიშნავად ჩვენ 12 აპრილს კოსმონავტიკის დღე ვიდღესასწაულეთ. ჩვენ ეს დღე აღვნიშნეთ დიდი სიხარულითა და კანონიერი სიამაყით. ვამაყობთ იმით, რომ უკვლევი ვარსკვლავთა სივრცეების პირველი გზა გაკვალა ჩვენმა თანამემამულემ, ჩვეულებრივმა საბჭოთა ადამიანმა. მისი უშიშრი შეჭრა სამყაროში უდიდესი მნიშვნელობის, უღრმესი აზრის დიადი საქმეა.

„ლუმოსავლეთი — 1“ მაღლა აფრინდა საუცხოო სასტარტო მოედნიდან. როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა ხატოვნად თქვა, საიმედო სასტარტო მოედანი, საიდანაც საბჭოთა კავშირი თავის კოსმოსურ ხომალდებს უშვებს, სოციალიზმია. ყველა ენაზე რუსულად აფიერებულმა სიტყვებმა „სპუტნიკმა“ და „ლუნნიკმა“, იური გაგარინის და მისი თანამოძმის გერმანე ტიტოვის კოსმოსურმა ფრენამ მარტო ის როდი დაანახვა განცვიფრებულ კაცობრიობას, თუ რა ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ. მათ განსაცვიფრებელი სიცხადით უჩვენეს ხალხებს, რომ სოციალისტური სისტემა სჯობს კაპიტალისტურს, ერთხელ კიდევ მკაფიოდ დაადასტურეს ის, რომ სოციალიზმი კაცობრიობის პროგრესის მძლავრი ამჩქარებელია.

მსოფლიოს ხალხებმა ჯეროვნად დააფასეს საბჭოთა კავშირის გამარჯვებანი სამყაროს ათვისებაში. ჩვენ გვახსოვს, თუ რა დაძაბული ყურადღებით, სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალყურს ყველა კონტინენტის ხალხები იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის გმირულ ფრენას. კონგოს ნაპირებზე და შორეულ ავსტრალიაში, უელსის მეშახტეთა დაბებსა და შებოლილ იოკოჰამაში, ბრაზილიის სავანებსა და მონღოლეთის ველებში — ადამიანები ყველგან იმეორებდნენ მათს სახელებს და აღტაცებული იყვნენ იმ ქვეყნით, რომელმაც თავისი წარმომადგენლები გაგზავნა ვარსკვლავთში, რათა დედამიწაზე ცხოვრება უფრო კარგი და უფრო ლამაზი გახდეს. მილიონობით ადამიანი ამაყობდა იმით, რომ სოციალიზმის ქვეყნის ადამიანმა არა მარტო კაპიტალისტური უღლის სიმძიმე მოიშორა, არამედ დედამიწის მიზიდულობის ძალაც კი დაძლია.

ჩვენ გვახსოვს, რა ენთუზიაზმითა და აღტაცებით ხვდებოდნენ ხალხები საბჭოთა გმირ კოსმონავტებს იური გაგარინსა და გერმანე ტიტოვს, როცა ისინი მსოფლიოს ქვეყნებში, მოგზაურობდნენ. ხალხთა ფართო მასებს ისინი მიაჩნდათ არა ერთეულ გმირებად, არამედ იმ საბჭოთა საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენლებად, რომლის დროშაზეც ბრწყინავს სიტყვები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.

აი ამიტომ საბჭოთა ადამიანებთან ერთად კოსმონავტიკის დღე მთელი დედამიწის ხალხებმა აღნიშნეს. „წლისთავი სხვადასხვაა, — წერს ამასთან დაკავშირებით დასავლეთ ბერლინის გაზეთი „დსფ“, — ზოგი ახსოვთ საუკუნეთა მანძილზე, ზოგი კი უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ავიწყდებათ. მაგრამ 12 აპრილის თარიღი სამარადისოდ შევა კაცობრიობის ისტორიაში“.

ფიქრობენ რა სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში პირველ გაფრენათა შესახებ, ადამიანები ოცნებობენ მომავალზე, იმ გრანდიოზულ პერსპექტივებზე, რომლებსაც უსახავს კაცობრიობას თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა. ეს სასიხარულო ოცნება და ფიქრია.

მაგრამ ხალხები ვერც იმას დაივიწყებენ, რაც მათ აწუხებთ. ვითარება მსოფლიოში კვლავ დაძაბულია. ამერიკის შეერთებული შტატები წყნარ ოკეანეში ამთავრებენ ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდისათვის მზადებას.

12 ათასი კაცი გაფაციცებით მუშაობს ადგილზე წყალბადის ბომბების აფეთქებათა მოსამზადებლად. როგორც წერს ეურნალი „ბიზნეს უიკი“, რომელიც ჩვეულებრივად კარგად არის ინფორმირებული, უკვე დასახულია ამ აფეთქებათა დაწყების დღე — 22 აპრილი ან, ამ თარიღის ახლო დღე.

ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ინგლისის გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის განახლების შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობამ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად ჩათვალა. შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა, რომლებიც ცდილობენ თავი იმართლონ და დაამტკიცონ, რის დამტკიცებაც შეუძლებელია, 10 აპრილს გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება. ისინი, თურმე ნუ იტყვით, ატომური იარაღის გამოცდას მხოლოდ იმიტომ განახორციელებენ, რომ საბჭოთა კავშირი არ თანხმდება მათ წინადადებებზე ინსპექციათა სისტემის შესახებ, რომელიც არსებობად წარმოადგენს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჯაშუშობის ფორმას. ამერიკა-ინგლისის ერთობლივი განცხადება სხვა არა არის რა თუ არ უურადღების ასაცილებელი პროპაგანდისტული მანევრი.

ამასვე სჩადიან დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ჟენევაში 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის სხდომებზე. ისინი ამახინჯებენ ფაქტებს, მიმართავენ სიცრუესა და ცილისწამებას და ცდილობენ გაამართლონ თავიანთი პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის საკითხში და საერთოდ ხელი შეუშალონ კომიტეტს გადაჭრას თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემა — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა. დამტკიცებულია — და ამას თვითონ დასავლეთის სახელმწიფოები აღიარებენ — რომ ყველა ატომური აფეთქება ატმოსფეროში, წყალქვეშ და მიწისქვეშაც კი შეიძლება აღმოვაჩინოთ კონტროლის ეროვნული საშუალებებით. ამრიგად, საქმე კონტროლი ან ინსპექცია კი არ არის, არამედ ის, რომ შეერთებული შტატები და მათი ნატოელი პარტნიორები სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი ატომური იარაღის ჯამოცდის აკრძალვით, განიარაღების პრობლემის გადაჭრით.

პრესაში უკვე მოყვანილი იყო ბევრი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ დასავლეთის არგუმენტებისა და პოზიციის აშკარა ულოგიკობას. შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფაქტი, — ასე ვთქვათ, ისტორიული პლანით, როცა ოცდაათიან წლებში ერთა ლიგის მფარველობით იმავე ჟენევაში დაუსრულებელი მოლაპარაკება მიმდინარეობდა განიარაღების შესახებ, დასავლეთის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, ჩვენ ვერ განვიარაღდებით იმიტომ, რომ ამით მხოლოდ „სუსტი რუსეთი“ მოიგებსო. ახლა კი ისინი აჭიანურებენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას და ამას იმით ასაბუთებენ, რომ თვითონ „არიან ჩამორჩენილი“ და უნდა „დაეწიონ“ „ძლიერ რუსეთს“. თავის დროზე საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს, ხოლო შემდეგ გერმანიის კაიზერ ვილჰემ II-ს თავიანთ ზარბაზნებზე ლათინურად ჰქონდათ ამოჭრილი სიტყვები: „მეფის უკანასკნელი არგუმენტი“. ეტყობა, ყოველად გათავხედებულ იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც ჯერ-ჯერობით განაგებენ საქმეებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, თავიანთ „უკანასკნელ არგუმენტად“ მიაჩნიათ წყალბადის ბომბები. მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ეს ყოველად უსაფუძვლო „არგუმენტი“.

დე იცოდნენ იმპერიალისტებმა — საბჭოთა კავშირი გულხელდაკრეფილი არ უყურებს ამერიკელთა ატომური აფეთქების ახალ სერიას. საბჭოთა ადამიანები შეძლებენ იზრუნონ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს უშიშროებისათვის.

დასავლეთში ჯერ კიდევ ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ კაპიტალისტური სამყარო თითქოს „თავისუფლების“ განსახიერება იყოს. გამოთქმა „თავისუფალი სამყარო“ კვლავ ისმის დასავლეთის პოლიტიკოსების, დიპლომატების სიტყვებში, ბურუჟაზიული ეურნალისტების სტატიებში.

„თავისუფალი სამყარო“ — ვისთვის? სს-ელთა შტაბს შარფიურერ ოტოსა და სს-ელთა უნტერშარფიურერ ბერგერისათვის! 1944 წლის 17 აგვისტოს ღამით ბუხენვალდში მათ და სხვა ჰიტლერელმა ბანდიტებმა ავაზაკურად მოულეს გერმანიის მუშათა კლასის ბელადი ერნსტ ტელმანი. ამჟამად ისინი თავისუფალი არიან დასავლეთ გერმანიაში, სადაც არა მარტო თავისუფალია, არამედ პასუხსაგები პოსტებიც კი უჭირავს ათასობით წვრილ და მსხვილ ჰიტლერელს.

„თავისუფალი სამყარო“ — ვისთვის? ოას-ელი ფაშისტი არამზადებისათვის, რომლებიც ფრანგთა და ალჟირელთა სისხლსა სვამენ, ამერიკის შეერთებული შტატების კუ-კლუქს-კლანის და სხვა მრავალრიცხოვანი ფაშისტური და ნახევრადფაშისტური ორგანიზაციების ვაუბატონებისათვის.

„თავისუფალი სამყარო“ გამანადგურებელი ომია, რასაც ამჟამად შეერთებული შტატები აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც უკმაყოფილია დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი დიქტატორული რეჟიმით. ეს სამყაროა საპყრობილეებში ჩაყრილი ამერიკელი კომუნისტები, თავიანთი ქვეყნის მტკიცე პატრიოტები, ეს არის სამყარო, სადაც კოლონიური მონობის მარწუხში ჯერ კიდევ ეხუთება სული ათეულ მილიონობით ადამიანს.

შეერთებული შტატები და ინგლისი ამ „თავისუფალი სამყ

ძველი პროფესია

ფიქრები თანამედროვე მსახიობზე

ერთერთხელ დავფიქრებულვარ: ჩვენი დროის გრანდიოზული, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები ,,ურაცხელი შინაგანი ძაფებით უკავშირდებიან თვითეულ ჩვენგანს, სავსებით განსხვავებული პროფესიის ადამიანებს, და იქნებ სწორედ ამიტომ ესოდენ მჭიდროდ გვაერთებენ ერთ მთლიან, ძრავალეროვან საბჭოთა ოჯახში.

და ბუნებრივი გარემოების გამო გონების თვალით მაცრა გვაყვე ერთ-ერთ იმ ძაფს, რომელიც სცენასა და ცხოვრებას შორის დროის მოთხოვნილებამ გაბა.

ჩვენ, XX საუკუნის „მესამოციანენი“ არნახულ კოსმოსურ გაფრენათა ცოცხალი მოწმენი შეიქენენი.

გაგარინის და ტიტოვის საოცარმა გმირობამ ყოველ საბჭოთა ადამიანს არა მარტო გაუღვივა კანონიერი სიამაყის გრძნობა, არამედ უაღრესად კონკრეტული მასალა მიაწოდა ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, ბიოლოგებს, ასტრონომებს და სხვა პროფილის მეცნიერებს ახალი კიდევ უფრო დიდი პრობლემების გადაჭრელად.

რას უნდა ეუბნებოდეს ეს ფაქტი ჩვენი სცენის მსახურთ?

გარდა იმისა, რომ თვით გაგარინისა და ტიტოვის ადამიანური ხასიათი შესანიშნავი ობიექტია ხელოვნების ყველა დარგის მუშაკთათვის თანამედროვე გმირის პორტრეტის შესაქმნელად, ხომ არ გვაწვდიან ჩვენი სახელოვანი კოსმონავტები ზოგიერთ ისეთ დაკვირვებას, რომელთაც მესაძლოა აღმოაჩინდეთ ფრიად საგულისხმო მნიშვნელობა... „სტანისლავსკის სისტემის“ განვითარებისთვისაც?!

ჩემი აზრით, ამ შეკითხვაზე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი პასუხი — ეყოფმანად დადებული.

პირადად საოცრად მენიშნა, რომ იმ ადამიანმა, რომელმაც მთვარეზე გაფრენისა და დაბრუნების ტოლი მანძილი 25 საათში გაიარა, იმ ადამიანმა, რომლისთვისაც აღარავითარი სიძნელე არ უნდა არსებულიყო, მსახიობის პროფესიას ძნელი პროფესია უწოდა. ისიც კი გავიფიქრე, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც; ველოსიპედზე საკუთარი სახლის გარშემო ვერ შემოუვლიათ და ამიტომ მსახიობობა უფრო ადვილ საქმედ მიიჩნიონ.

გერმანე ტიტოვმა მოსკოვში თეატრალურ საზოგადოებაში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა ისიც, თუ რარიგ განიცდა მსახიობობის სიძნელე, როცა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჩეხოვის „იუბილეს“ ერთ-ერთი გმირის ბანკის ბუჰალტრის, მოხუცი ხირინის როლის შესრულება მოუხდა. და განა ჩვენთვის დიდად საინტერესო არ უნდა ყოს, რომ გმირ-ოსმონავტის მეხსიერებაში არ წაიშალა შემოქმედებითი ცდის პირველი კვალი?..

საგულისხმოა, რომ კოსმოსში გაფრენის პირველი წლისთავის საზეიმო დღეებში ი. გაგარინმა კორესპონდენტების შეკითხვის პასუხად აღნიშნა ცხარე ტრფიალი ხელოვნებისა და, კერძოდ, თეატრისა, როგორც თავისი და თავისი-ვე მეგობარი კოსმონავტების სულიერი ბუნების ერთ-ერთი ნაშანი.

მართალია, დღეს უკვე მხოლოდ ზოგიერთი, საქმეში ნაკლებად ჩახედული კაცი თუ თვლის მსახიობის შრომას იოლ შრომად და სცენას შედარებით იოლი გზის ასპარეზად. ამ საპატიო პროფესიის სირთულეში შეიძლება ითქვას, არავის აღარ ეპარება ეჭვი.

მაგრამ, როცა ჩვენი დროის გმირი ჩვენს პროფესიას ძნელ პროფესიას უწოდებს, ეს გარემოება გვავალებს კიდევ უფრო ღრმა დაკვირვებით აკვნესო ამ ძნელი პროფესიის არსი. ერთია შედარება თეატრის დანიშნულება, რომლის ძალა იყო და იქნება ცოცხალი ადამიანის ცეცხლოვან მწვავე შინაგანი თრთოლვა, ყოველგვარი შუამავალი ტექნიკური რაციონალიზაციის გარეშე!

ამიტომ სათანადოდ გავეფრთხილდეთ თეატრალური ხელოვნების ამ უფაქიზეს ინსტრუმენტს — აქტიორს.

უფრო ხშირად მოვაგონოთ მას, რომ დღევანდელი მსახიობისთვის განსაკუთრებით საჭიროა არა მარტო ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვება, არამედ ამ მოვლენებში გარკვეული ფორმით უშუალო მონაწილეობა.

მოვაგონოთ, რომ „მსახიობი, — როგორც ამბობდა სტანისლავსკი, — რომელიც გარემო ცხოვრებას განზე გამდგარი აკვირდება, საკუთარ თავზე არ განიცდიდ გარემო მოვლენების სიხარულსა და სიღუხჭირეს, მათ რთულ მიზეზებს ვერ სწვდება. და ვერ ხედავს მათს მიღმა ცხოვრების ბუბეტრაზულ მოვლენებს, უდიდესი ჰეროიკით, უდიდესი დრამატიზმით გამსჭვალულს, — ასეთი მსახიობი ჭეშმარიტი შემოქმედებისათვის კვდება“.

ანდა ზოგიერთისათვის იქნებ გადაგვიშალა ახლახან გამოქვეყნებული თექვსმეტსტრიქონიანი ცობა იმის შესახებ, რომ „სახელგანთქმულმა ინგლიელმა კინომსახიობმა ჯულიეტა მაზინამ რომელიც ასრულებს მთავარ როლს ფილმებში „ვზა“ — და „ცაბირის ღამეები“, ამას წინათ რომის უნივერსიტეტში მეორედ მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი“.

ხომ არ იგრძნობდა ზოგიერთი გარეკვეულ კაეშრს ამ საგულისხმო ცნობისა და იმ გახსნილი გონების შუქს შორის, რომელიც „ღამეების“ ფინალში სიხარულს ცრემლებს აფლვარებს?

გავიხსენოთ ისიც, რომ ჩვენი საყვარელი უმანი ჩხეიძე მსახიობის ბიოგრაფიაში განსაკუთრებით აფასებდა არა რაიმე შემთხვევითი მიზეზით განპირობებულ იოლ ზარმაცებას, არამედ იმ პეტიოდს, როცა მსახიობის შემოქმედებაში „მეაბე უკვე გონება ხდება და როდესაც ხელოვნების ყოველი ნაბიჯი, ურთულესი სულიერი მოძრაობანი, გამარტლებულია გონების თვალით“.

ჩემი თაობის მაყურებელს არასოდეს დავიწყდება ნუცა ჩხეიძის კოტეჩინინას საოცრად ღრმა აზრიანი, დედობრივი თვალების სითბო, რაც ჩინებული მსახიობის პირადი მდიდარი ბუნებიდან მომდინარეობდა.

და ვინა დღეს ზაქარიაძის ფიროსმანი ტალანტისა და თანამედროვე ხელოვნების ინტელექტის ქმნილებას არ წარმოაგენს?

აი სწორედ ეს გონების შუქი განსაკუთრებით ფასეულია დღევანდელი მსახიობის შემოქმედებაში.

მსახიობზე საგანგებოდ შევეხერდით არა მარტო იმიტომ, რომ უმსახიობო თეატრი თეორიულადაც წარმოუდგენელია, არამედ იმიტომაც, რომ ზოგიერთი თეატრალური რეჟისორის ზეშობაში თავა იჩეხს კინოხერხებით ისეთი გატაცება, რომელიც შესაძლოა გამოეცდილი თვალისთვის სიასლის შთაბეჭდილებას ქმნიდეს, სინამდვილეში კი სათანადო ავტორიტეტი და... მორიგი „შემოქმედებითი განცხადის“ უფლებაც. მაგრამ ზოგჯერ საკუთარი წარმოდგენა მიღწეულ წარმატებაზე წინ უსწრებს ხოლმე ახალგაზრდა მსახიობის პროფესიულ დოსტატებას. სამწუხაროდ, ამჯერადაც ასე მოხდა. შემოქმედებითი ენერგია შეუმჩნევლად მიიქცა ეგოისტურ მისწრაფებათა განხორციელებისაკენ. შემდეგ კი შესამჩნევი გახდა, თუ როგორ შეეტოხეს მსახიობის ტემპერამენტში პატივმოყვარეობის ბაცილებმა. ერთხელ შესვენების დროს ყური მოვკარი ერთ-ერთმა მაყურებლის წამოძახილს: „რატომ აქვს ასეთი გაბოროტებული სახე?“ ამან დამაფიქრა, მართლაც, რომ დავუკვირდი, ბ. პოლევოის „ნამდვილი ადამიანის“ მიხედვით დადგმული პიესის გმირს, რადაც უსიამო, შეუფერებელი ბილთაღრეკენა შევნიშნე... ასე გამოვლინდა სცენურ სახეში მსახიობის სახეცვლილი ბუნება, რამაც სავსებით დაარღვია ავტორის ჩანაფიქრი.

და აი მეორე მაგალითი უახლესი დაკვირვებიდან. როლი, რომელშიც მე ვ. ჩელთისპირელი ვნახე, სულ რამდენიმე ფრაზისგან შედგებოდა (ვ. ბერძენიშვილის „გული ხელისგულზე“ თელავის თეატრში). სცენაზე გამოდიოდა დარბაისელი მუშა კაცი, რომელიც სამუშაოს თითქო ეს-ეს არის მოაცდინეს. იქვე მოლზე წამოწოლილი მოქეიფე ახალგაზრდების მიპატიჟებაზე უარს ამბობდა და თავის საქმეს უბრუნდებოდა. ბევრს უთუოდ უნახავს ეპიზოდური როლების ბრწყინვალე შემსრულებლები, მაგრამ ამჯერად ხსენებულ პაწია როლის შემსრულებელს განსხვავებდა ისეთი რამ, რისი ახსნაც არც ისე ადვილად მოგეჭვნა.

როცა ანტრაქტის დროს მოვიარე ამავე თეატრის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენა, როცა გავიგე, რომ ათეული წლების მანძილზე სათუთად შეგროვილი მასალის ექსპოზიცია ვ. ჩელთისპირელმა საკუთარი ძალით საკუთარი ხელით გაკეთა და თეატრს უსასყიდლოდ გადასცა, მეც მივხვდი ეს ამბავი! მივხვდი, რომ სცენურ სახეს თავისებურ მიმზიდველობას ანიჭებდა შემსრულებლის პიროვნების შემოქმედებითი-მოქალაქეობრივი მთლიანობა.

ჩვენი დრო დაჟინებით მოგვიწოდებს დიდი შინაგანი ალღოთი ჩაეწვდეთ შემოქმედებით და მორალურ-ეთიკურ პრობლემათა ღრმა კაეშრს, რათა სცენური ნიჭის მასაზრდოვებელ ფესვებს ნამდვილად მივაკვლიოთ.

მიხეილ გიჟიმყრელი.

• • •

სურათებზე: ქვემოთ — სცენა სპექტაკლ „ოტელოდან“ (დადგმა კოტე მარჯანიშვილისა, 1922 წ.). ოტელო — შალვა ლომბაშიძე, იაგო — უშანგი ჩხეიძე; ზემოთ—„ფიროსმანის“ რეპეტიციაზე რუსთაველის სახელობის თეატრში. სერგო ზაქარიაძე (ფიროსმანი), მედეა ჩახავა (მარგარიტა), მარცხნივ სპექტაკლის დამდგმელი დიმიტრი ალექსიძე.





ხალიჩაზე არიან უძლიერესები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო უძლიერესთა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხალიჩაზე გამოდიან სსრ კავშირის, პოლონეთის, კუბისა და ფინეთის მოჭიდავეები, რომელთა შორის არიან მსოფლიოს, ოლიმპიურ ასპარეზობათა და ამ ქვეყნების ჩემპიონები, პრიზიორები.

ტურნირი დაიწყო სპორტსმენთა პარადით. საბჭოთა მოჭიდავეებმა სტუმრებს ვიმპელები და სამახსოვრო სამკერდე ნიშნები უძღვნეს.

პირველად ბრძოლაში ჩაებნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები. საბჭოთა სპორტსმენს ლ. შაპირს მხოლოდ 1 წუთი და 39 წამი დასჭირდა იმისათვის, რომ წმინდა გამარჯვება მოეპოვებინა კუბელ მონტენერტოსთან შეხვედრაში. ჩვენი ქვეყნის ნაკრების ორი წევრის ზ. შეყოლაძისა და კ. ჯამილოვის შეხვედრა თავიდანვე უინტერესოდ წარიმართა, მოწინააღმდეგეებს არც ერთი ილეთი არ გაუკეთებიათ და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. ვ. ლიტვინის (სსრ კავშირი) წინააღმდეგ ვერაფერს ბედავ ზ. მონასელიძე და წააგო შეჯიბრება ქულებით.

მჩატე წონაში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა მოჭიდავეები ა. იბრაჰიმოვი და ა. ტიმოხინი, ა. იბრაჰიმოვმა, რომელიც აქტიურად იბრძოდა, შეძლო ორი ილეთის გაკეთება და გაიმარჯვა ქულებით. ცნობილმა საბჭოთა მოჭიდავემ მ. ზახოვმა უკანასკნელ წუთში ორივე ბეჭით ხალიჩაზე მიაკრა ი. როტაიჩაკი (პოლონეთი), ზ. მჭედლიშვილმა ქულებით მოუგო ლ. ლუხტალს (ფინეთი).

მომდევნო წონაში იგრძნობოდა გ. იასკარის (ფინეთი) ტექნიკური უპირატესობა ა. მეიონსესთან (კუბა) შეხვედრაში და გამარჯვებაც ქულებით მას მიენიჭა. მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ მსოფლიოს ჩემპიონის ვ. რუბაშვილისა და პოლონეთის ხუთგზის ჩემპიონის ი. ჟურავსკის ორთაბრძოლას. პოლონელი მოჭიდავე პასიურობდა, იგი ხშირად გარბოდა ხალიჩიდან, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა. ვ. სურინოვმა კუბელი იანის ხოსე 1 წუთსა და 30 წამში წააკვლა.

მსუბუქ წონაში რ. ჯოამაძეს მხოლოდ 30 წამი დასჭირდა, იმისათვის, რომ წმინდა გამარჯვება მოეპოვებინა ფინელ რ. იუნტილიასთან შეხვედრაში.

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სამ დღეს გაგრძელდება.

სპორტული ქრონიკა

□ **გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში მიძღვნილი გაზეთ „პრავდის“ 50 წლისთავისადმი. გათამაშთა ხავალდებულო ვარჯიში ოსტატ ვაჟთა შორის. წინ არის ვ. გროშოვი.

□ **გუშინ** მოსკოვში გრძელდებოდა შეჯიბრება ცურვაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. წარმატებას მიაღწიეს გ. პროკოპენკომ და ლ. კოლესნიკოვმა, რომლებმაც 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდი დამყარეს.

ქალაქისა და რაიონის ცხოვრებიდან

ბოსკოვი, 13 აპრილი. (საკლესი). მოსკოვის საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტურში დანიის ჩემპიონი ლარსენი დამარცხდა საბჭოთა გროსმაისტერ ლილიენტალთან.

შესვენებისათვის დამთავრდა კიდევ მხოლოდ ერთი პარტია. საბჭოთა ოსტატები ბიხოვსკი და არონინი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

გუშინ გაიმართა ვასიუკოვ-შამკოვიჩის (ორივე — სსრ კავშირი) მეხუთე ტურიდან გამოტოვებული შეხვედრა. 32-ე სვლაზე გაიმარჯვა ვასიუკოვმა.

13 აპრილს შედგა მე-8 ტური. ამ დღეს 8 პარტიიდან დამთავრდა 3, დანარჩენი გადაიდო. ე. ვასიუკოვმა მოუგო ა. ბიხოვსკის, ლ. შამკოვიჩმა — რ. ვეიდის, დ. ბრონშტეინმა — პ. დელის.

• • •

ვლადიმირი გრძელდება საკავშირო მასობრივი საშაადრაკო ტურნირის ფინალური შეჯიბრება.

გათამაშდა ხუთი ტური, ვაჟთა შორის ლიდერები არიან ვ. ბაგიროვი, ე. როტშტეინი, ი. ნიკოლაევსკი და ი. ჩესნოფსკისი. საქართველოს მოჭადრაკეებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს ი. ჭანტურიას.

ქალთა შორის წინ არიან ვ. კოზლოვსკაია და მ. რანიკი, რომლებსაც ოთხნაბეგავ-ოთხნახევრიანი ქულა აქვთ. მომდევნო ორი ადგილი ოთხ-ოთხი ქულით უპირავთ ი. გურგენიძესა და კ. ზვორიკინას. საქართველოს მოჭადრაკეთა შორის უკეთესი შედეგი (3 ქულა) აქვს ა. ჩაიკოვსკაიას.

ქალაქისა და რაიონის ცხოვრებიდან

ჭადრაკის დაფებთან

ბოსკოვი, 13 აპრილი. (საკლესი). მოსკოვის საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტურში დანიის ჩემპიონი ლარსენი დამარცხდა საბჭოთა გროსმაისტერ ლილიენტალთან.

შესვენებისათვის დამთავრდა კიდევ მხოლოდ ერთი პარტია. საბჭოთა ოსტატები ბიხოვსკი და არონინი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

გუშინ გაიმართა ვასიუკოვ-შამკოვიჩის (ორივე — სსრ კავშირი) მეხუთე ტურიდან გამოტოვებული შეხვედრა. 32-ე სვლაზე გაიმარჯვა ვასიუკოვმა.

13 აპრილს შედგა მე-8 ტური. ამ დღეს 8 პარტიიდან დამთავრდა 3, დანარჩენი გადაიდო. ე. ვასიუკოვმა მოუგო ა. ბიხოვსკის, ლ. შამკოვიჩმა — რ. ვეიდის, დ. ბრონშტეინმა — პ. დელის.

• • •

ვლადიმირი გრძელდება საკავშირო მასობრივი საშაადრაკო ტურნირის ფინალური შეჯიბრება.

გათამაშდა ხუთი ტური, ვაჟთა შორის ლიდერები არიან ვ. ბაგიროვი, ე. როტშტეინი, ი. ნიკოლაევსკი და ი. ჩესნოფსკისი. საქართველოს მოჭადრაკეებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს ი. ჭანტურიას.

ქალთა შორის წინ არიან ვ. კოზლოვსკაია და მ. რანიკი, რომლებსაც ოთხნახევრიანი ქულა აქვთ. მომდევნო ორი ადგილი ოთხ-ოთხი ქულით უპირავთ ი. გურგენიძესა და კ. ზვორიკინას. საქართველოს მოჭადრაკეთა შორის უკეთესი შედეგი (3 ქულა) აქვს ა. ჩაიკოვსკაიას.

ჯ. ცერცვაძის 45 ბურთი

ბაუნასში ახლახან დამთავრებულ ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა ადგილი მოიპოვა. ამ ბრძოლაში ,,ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა ოქრო მიიღეს. ,,ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა ,,ოქროს“ მედლებთან ერთად ,,ალმაზოლოში“ შესვლა ,,ბრონზეზეც“ მოიპოვეს.

ერთ-ერთი ასეთი პრიზი თბილისელებმა მოიპოვეს ყველაზე კოლექტიული თამაშისათვის. ჩვენთან ხელბურთელებმა ჩემპიონატში თავისებური რეკორდი დამყარეს, გაიტანეს ყველაზე მეტი — 154 ბურთი, მათ ოპონენტებმა აგროვეს მატანილი და მიღებული ბურთებია უკეთესი სხვათა (154—122).

სპეციალური პრიზები დაწესებული იყო ადგილთან საუკეთესო ხელბურთელებისათვის — მეკარეებისათვის, საუკეთესო სნაიპერისათვის და სხვ. ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირად აღიარებულ იქნა თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელი სსრ კავშირის ნაკრების წევრი ჯ. ცერცვაძე, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარში ყველაზე მეტი — 45 ბურთი გაიტანა.

მოწონება დაიმსახურა თბილისელთა მეკარის ი. აბაიშვილის თამაშმა. იგი გადამწყვეტი მატჩების ნამდვილი გმირი იყო და არაერთხელ გადაარჩინა თავისი გუნდი უდავო გოლებს. უიურიმ ი. აბაიშვილი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეკარედ ცნო და სპეციალური პრიზი გადასცა მას.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ ჩემპიონის წოდებასთან ერთად მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება. გუნდის წევრებს სპორტის ოსტატის წოდება მიეკუთვნათ.

სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: თ. ანთაძეს, ჯ. აბაიშვილს, ბ. კოპალეიშვილს, ა. ეგნატაშვილს, ი. ფხაკაძეს, ბ. მაჭავარიანს, ი. შელეგიას, ლ. კარტოზიას, ა. რატიანიძეს, თ. ზაზრდალიშვილს. ჯ. ცერცვაძეს ეს წოდება ადრე ჰქონდა მიღებული.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

კოლონეთში სტუმრად იმყოფებიან დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივები.

საბჭოთა ფეხბურთელებმა აქ გამართეს ორი საოფიციალო მატჩი. ლოძში დონის როსტოვის სკა-სა და პოლონეთის ლკა-ს გუნდებს შეხვედრაში გაიმარჯვეს როსტოველებმა ანგარიშით 4:2. ვარშავაში დონეცკის „შახტიორი“ თამაშობდა პოლონეთის „ლეგიასთან“ და წააგო შეხვედრა 0:2.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ტელეფონი

მგზავრი და მასპინძელი

სსრ კავშირი გრცელი ქვეყანაა, როგორც იტყვიან, ყველასათვის მოიძებნება ადგილი მზის ქვეშ, თვითეული ადამიანისათვის არის სამუშაო... მთავარია გიყვარდეს შრომა.

ნკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალებიდან.

ერმამ კაცმა ერთ სოფელში
ქოხის გვერდით დაისვენა,
ისაუბრა, წყაროს წყალით
მგზავრმა ყელი გაისველა...
და უეცრად ქოხმახიდან
გამოვიდა მასპინძელი,
სიღარიბე ეტყობოდა
ჩოხა ეცვა ძველზე ძველი!
— გამარჯობა!
— გაგიმარჯოს!
— წინ გზა გიძევს ალბათ გრძელი,
რატომ შინ არ დამეწვე? —
გაინაზა მასპინძელი!
— შე საწყალო, შენთვის რა გაქვს,
სხვის როგორ სცემ ბატიკს ნეტავ,
ირგვლივ ყველა კარგად ცხოვრობს,
შენ ჩამორჩი მეტისმეტად!
რატომ ცხოვრობ ასე ცუდად?
— არ გამომდის, მეც მას ვჯავრობ,
ალბა მითხარ ამ დიდ ოჯახს
რა ეყოფა, ჩემი მგზავრო?! —
თქვა და ხელი გაიშვირა
მასპინძელმა ირგვლივ სწრაფად.
მგზავრმა უთხრა: — როგორც გატყობ,
გაურბიხარ შრომა-ჯაფას!
ეს ბუჩქნარი ვერ გაკაფე?!
ეს ქვა-ღორღი ვერ გაწმინდე?!..
პურიც ბევრი გიქნია და
გაგიკვლია სახიმინდეც!
— არა, ძმაო, ავიყრები,
სადმე სხვაგან დავსახლდები,
ქვა-ღორღს როგორ მოვერევი,
შეეწუხდები, გავძაღლდები!
— შრომა ყველგან საჭიროა,
შე ზარმაცო, რას ბოდავო,
„ძაღლი შინ არ ვარგოდა და
სანადროდ გარბოდა!“ —
თქვა მგზავრმა და გზა განაგრძო,
აღარ სურდა ზანტის ხილვა,
მასპინძელი ჩრდილში დაწვა,
და განაგრძო ისევ ხვრინვა.

კ. გოგიაშვილი.

ამგვეგი, ცნობები, ფაქტები

ახალი დადგმა

ამ დღეებში გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა **მარიკა ბარათაშვილის** კომედია **„რატომ?“**

პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. აბრამაშვილს, მხატვრობა — დ. თაყაიშვილს და თ. მიქაძეს, მუსიკა — კომპოზიტორ ლ. იაშვილს.

სურათებზე: (მარცხნივ) ახალციხე. მეშახტეთა დაბა ვალეში; (მარჯვნივ) სოხუმი. სანაპირო ქუჩის ხედი.

ფოტო ს. ონანოვისა და ი. დვალისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვი, 12 აპრილი. (საკლესი). კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ვიოლონჩელისტ ლ. ტოპოლია დღევანდელ მოსმენის ცენტრშია ორი საბჭოთა ვიოლონჩელისტის — ნატალია გუტმანისა და ნატალია შახოსკაიას შეჯიბრება. მესამე გამოვიდა ი. დე ლემოსი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). შემსრულებელთა სრულიად საკავშირო კონკურსში ნ. შახოსკაიამ დაიკავა პირველი ადგილი, ნ. გუტმანმა — მეორე. პოდიუმი, დეორკაკის სახელობის კონკურსში მათ „გაცვალეს“ ადგილები: ნ. გუტმანი პირველი იყო. ამ „მეტოქეობისადმი“ ინტერესს ამძაფრებს ისიც, რომ ორივე შემსრულებლის პროგრამაში ერთი და იგივე ნაწარმოებებია: გარდა ვარიაციებისა ჩაიკოვსკის როკოკოს თემაზე, ასრულებენ პროკოფიევის სიმფონია-კონცერტს.

არა მარტო კონსერვატორიაში, სადაც ორივე ინსტრუმენტალისტი სწავლობს (ნ. გუტმანი მესამე კურსზეა, ნ. შახოსკაია კი — ასპირანტურაში), არამედ მთელი წინანდელი მოსმენის დროს კონკურსის მომსახურე ჟურნალისტთა და ორკესტრის მუსიკოსთა შორის დავა წარიმართა, პიესების რომელი შესრულება იყო უფრო ფაქიზი, გულში ჩამწვდომი და ემოციური.

მაგრამ ამ საკითხის გადამწყვეტ შეფასებას ჟიური გამოიტანს. ეს ცნობილი გახდება ამ კვირის ბოლოს.

ვიოლონჩელისტებთან ერთად გამოვიდა კინემატოგრაფიის მთავარი სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორობდა ი. სილანტიევი.

ქომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-68-03, 8-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მეწყველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-78-24, უცხოეთის — 8-85-01, ილუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების მიღების — 1-64-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

УЭ 00978

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.